რეზო ბალანჩივაძე

ოლეგ ალავიძე

რეზო ჭანიშვილი

თბილისი

2015 წელი

პროლოგი

რეზო ჭანიშვილის ფენომენი

ეს პატარა ბუკლეტი ეძღვნება დიდი ქართველი ხელოვანის, ქართული ქორეოგრაფიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ბატონი **რეზო ჭანიშვილის** დაბადების 78 წლისთავს, რომლის ვარსკვლავი დეკემბერში გაიხსნება დიდი საკონცერტო დარბაზის წინ.

ძნელია ამ პატარა მოცულობის ბუკლეტში სრულად ჩამოვთვალოთ ყველა ის ღირსება, რაც ბატონ რეზო ჭანიშვილს ახასიათებს როგორ ხელოვანსა და მოქალაქეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ ღვთივკურთხეული ნიჭითა და უკეთილშობილესი თვისებებით შემკული ადამიანი.

დავიწყებთ იმ ღირსებათა გრძელი ჩამონათვალით, რაც მის სახელს უკავშირდება და რაც მეტნაკლებად იმ ღვაწლზე მიუთითებს, რაც მას მიუძღვის ქართული ქორეოგრაფიის წინსვლასა და განვითარებაში, როგორც უბადლო მოცეკვავეს, ქორეოგრაფსა და ქორეოლოგს.მაშ, ასე:

რეზო ჭანიშვილი - ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საერ- თაშორისო პრემიის „ოქროს მარჯვენის“ ლაურეატი, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის მედლის, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწინვალებისა“ და „რაინდის“

ორდენის მფლობელი. რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მერვე ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედლის მესაკუთრე.

დაჯილდოებულია:

- „მადლიერების მედლით“/2009წ./,
- ოქროს მედლით „ქართული კულტურის ამაგდარი“ /2010 წ./,
- ოქროს მედლით „ქართული კულტურის დესპანი“ /2011 წ./.
- მოპოვებული აქვს საქართველოს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის კომკავშირის პრემიები.

არის საპატიო მოქალაქე ქალაქების:

ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, ჰამერფესტის / ნორვეგია/.

რეზო ჭანიშვილის სახელობისაა:

- ანსამბლი „კოლხეთი“ /თბილისი/
- ანსამბლი „მანანური“ /ოზურგეთი/
- ანსამბლი „მესხი ფრთოსანი“ /ახალციხე/

თავად მას დაარსებული აქვს:

1. ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდია /იყო მისი პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი/,

2. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვისსახელმწიფო ანსამბლი,

3. 1983-85 წლებში წყალტუბოს საქალაქო ახალგაზრდული ცეკვის ანსამბლი,

4. საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“.

5. სირიის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი /დამასკო/

მისი, როგორც ქორეოგრაფის, ყველაზე მაღალი შეფასება, ალბათ, ის არის, რომ ამ დარგის მეცნიერ-მკვლევრები დიდი ხანია იყენებენ ტერმინს **„ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“**, რაც გულისხმობს როგორც მის მიერ დადგმულ ახალ ცეკვებს, ისე არსებული ცეკვების ორიგინალურ ინტერპრეტაციებს.

ბატონი რეზო ჭანიშვილი არის რამდენიმე საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის წევრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მრჩეველთა საბჭოს წევრი.

პროფ. რეზო ჭანიშვილი არის **საქართველოს ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი** და დაარსებისთანავე ამ კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე /თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სუხიშვილი/.

2011 წლიდან დღემდე არის **საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე.**

პროფ. რეზო ჭანიშვილი არის თბილისის **კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საქართველოში ქორეოლოგიის, როგორც ახალი სამეცნიერო დისციპლინის, ერთ-ერთი შემქმნელი.**

მას შემდეგ, რაც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, სააკაშვილის ანტიეროვნული, ანტიქართული პოლიტიკის გატარების გამო, იძულებითი წესით შეუერთეს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, პროფ. რეზო ჭანიშვილი გახდა ამ უნივერსიტეტის ქორეოგრაფიის სპეციალობის მიმართულების ლიდერი და ფოლკლორის ფაკულტეტის კონსულტანტი.

ბატონი რეზო ჭანიშვილი არის რამდენიმე მონოგრაფიისა და სქელტანიანი წიგნის ავტორი:

1. **ფიქრები ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაზე**, თბ. 1997
2. **ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში**, თბ. 2000
3. **წერილები ქორეოგრაფიაზე**, თბ. 2002
4. **ქართული ცეკვის სადიდებელი** / გამოჩენილი ადამია-

ნები ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესახებ/, თბ. 2008. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და შესავალი წერილით.

5. **როკვაში განფენილი სული ქართული** /პროფ. ალ. დაუშვილთან ერთად/, თბ. 2010
6. **დიდი მამულიშვილი - გიორგი სალუქვაძე** /პროფ. ოლეგ ალავიძესთან ერთად/, თბ. 2013
7. **ქართული ცეკვის სადიდებელი** /გამოჩენილი ადამიანები ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესახებ/ შევსებული და გადამუშავებული მეორე გამოცემა. თბ. 2015წ.
8. **ქართული ხალხური ცეკვა დასაბამიდან მსოფლიო აღიარებამდე** /ფუდამენტური გამოკვლევა, მომზადებულია დასაბეჭდად/

ბატონ რეზო ჭანიშვილს ასევე მრავალი სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული რესპუბლიკის ჟურნალებსა და გაზეთებში.

ბატონ რეზო ჭანიშვილს მიეძღვნა:

1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ბოსტოღანაშვილის წიგნი: **„რეზო ჭანიშვილი“**
2. მისი დაბადების 75-ე წლისთავს მიეძღვნა გაზეთის „საქართველოს ქორეოგრაფია“ სპეციალური ნომერი
3. გიორგი სუხიშვილი - ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მოღვაწენი, თბ. 1988 /სპეციალური სტატია/

4. თეიმურაზ კომახიძე, აჭარაში ქართული საცეკვაო ფოლკლორის განვითარების ისტორია, თბ. 2001 / სპეციალური სტატია „შემოქმედის მთავარი კრედო“/.
5. ამირან ბუთურიშვილი, ზაზა მჟავანაძე, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოსტატები,თბ. 2011 / სტატია „რეზო ჭანიშვილი“/
6. მათზეწერდა „აჭარა“,სერიიდან „დროდაადამიანები“, ბათუმი, 2010 /სტატია „რეზო ჭანიშვილი“/
7. ისრაფილ დიასამიძე „აჭარის ხალხური შემოქმედების ამაგდარნი“ წიგნი პირველი, ბათუმი, 2014 /სტატია „რეზო ჭანიშვილი“/

და მრავალი სტატია ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა ჩამოთვლაც ძალიან გაგვიგრძელდებოდა

მძიმე ბავშვობა

პროფ. რეზო ჭანიშვილი დაიბადა 1937 წლის 21 ივნისს ქ. ქობულეთში იმდროინდელი პარტიის რაიკომის პირველი მდივნის რუბენ ჭანიშვილის ოჯახში. სხვა დრო რომ ყოფილიყო, ვინ იცის-რა ლაღად და უზრუნველად აეწყობოდა რაიკომის პირველი მდივნის შვილის ცხოვრება, როგორი უდარდელი და უღრუბლო ბავშვობა ექნებოდა, მაგრამ, როგორც თვითონ წერს ბატონი რეზო თავისი წიგნის „წერილები ქორეოგრაფიაზე“ შესავალში, „ავადსახსენებელი“ გამოდგა ეს წელი ჭანიშვილების /და არა მარტო ჭანიშვილების/ ოჯახისათვის. სწორედ იმ წლიდან დაიწყო საშინელი რეპრესიები მთელ საქართველოში,

დაიწყო ე.წ, „ნადირობა“ სრულიად უდანაშაულო და ალალმართალ ადამიანებზე, მათი ხალხის მტრებად და სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადება.

ტოტალიტარულმა რეჟიმმა მრავალი ოჯახი გააუბედურა და გაანადგურა. სამწუხაროდ, იმ ოჯახთაშორის მოხვდა ჭანიშვილების ოჯახიც. ამ ოჯახის თავკაცი- რუბენ ჭანიშვილი ჯერ დაიჭირეს, ხოლო შემდეგ-სამშობლოს ღალატის ბრალდებით, დახვრიტეს (იგი მხოლოდ 20 წლის თავზე, 1957 წელს, იქნა რეაბილიტირებული).

რაც შეეხება დედას - ნატალია გორდელაძე-ჭანიშვილისას, იგი დაჭერას კი გადაურჩა, მაგრამ ნერვიულობაზე ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა და ფაქტიურად დაინვალიდდა.

ასე დარჩა სულ პატარა რეზო და მასზე 5 წლით უფროსი ბორისი უმამოდ. დიდი გულისტკივილითა და დანანებით იგონებს მამას ბატონი რეზო, იგონებს, ცხადია, სხვათა გადმოცემითა და დახასიათებით, როგორც „დიდებულ, განათლებულ, სინდის-ნამუსით სავსე ადამიანს“. იგონებს დედას, როგორც უკეთილშობილეს ადამიანს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი შვილები ცხოვრებაზე არ გაბოროტებულიყვნენ და სიკეთის გზას არ გადაცდენოდნენ.

დაუნდობელმა უსასტიკესმა რეჟიმმა ფაქტიურად გააპარტახა ეს თითით საჩვენებელი ოჯახი. ერთიმეორეს დააცილა ცოლ-ქმარი, რომელთა სიყვარულის შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა. ერთ-ერთ ასეთ ლეგენდას თავად ჰყვება ბატონი რეზო: ჯერ კიდევ დაქორწინებამდე -

რეზოს მშობლებს, რუბენსა და ნატალიას, ისე ჰყვარებიათ ერთმანეთი, რომ, თურმე, როცა იმ სოფელში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, რუბენი შარაგზაზე რომ ჩაივლიდა, მასზე უზომოდ შეყვარებული ნატალია მის ნატერფალებს იმახსოვრებდა და შემდეგ, ცხადია, სხვათაგან მალულად, იმდენ ყვავილს ჩაასობდა, რამდენ ნატერფალსაც თვალით დაიმახსოვრებდა.

რა „დოზითაც“ არ უნდა იყოს სიმართლე ამ ლეგენდაში, ერთი რამ უდავოაო: უთუოდ უსაზღვრო და უკიდეგანო იყო ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი კდემამოსილი ქალიშვილის სიყვარული იმ ადამიანის მიმართ, ვისთანაც თავისი ცხოვრების სამუდამოდ დაკავშირებას აპირებდა.

სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ წყვილს საუკეთესო ქართული ოჯახის შექმნა კი არა, მათი პატარა შვილების აღზრდა და საუკეთესო მოქალაქეებად ფორმირება არ დასცალდათ. უმამოდ და დაინვალიდებული დედის ამარად დარჩენილმა ბიჭებმა თავი ჯერ უპატრონო ბავშვთა სახლს, შემდეგ კი უახლოესი ნათესავების ოჯახებში შეაფარეს.

რაც შეეხება ნათესავებს, მათ იქნებ იმდენად არც უჭირდათ ულუკმაპუროდ და უსახსროდ დარჩენილი ბიჭების შენახვა, რამდენადაც იმის შიში ჰქონდათ -„სამშობლოს მოღალატის“ შვილების შეფარების გამო, ისინიც არ დაეჭირათ და არ გაეციმბირებინათ. ამ შემთხვევაში არ გამოდგება გამონათქვამი: „შიშს დიდი თვალები აქვსო“. საშიშროება და რისკი მართლა დიდი იყო. „სამშობლოს მოღალატის“ შვილები ხალხისგანაც შეჩვენებულები და მოძულებულები უნდა ყოფილიყვნენ! - ასეთი იყო პარტიის

ნება და ამ ნების შეუსრულებლობა, ან თუნდაც პარტიის ხაზისაგან ოდნავი გადახრაც კი უსასტიკესად ისჯებოდა. მიზანი, ცხადია, ძნელი მისახვედრი არ იყო: ქვეყანაში ტოტალური შიში და უნდობლობა უნდა გაბატონებულიყო!

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ყველა ოჯახი ერთნაირად არ ხვდებოდა უმამოდ დარჩენილი ყმაწვილების სტუმრობას. შესაბამისად, ისინიც იძულებულები იყვნენ მრავალი დამცირება და სრულიად დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მოეთმინათ. ერთ-ერთ ასეთ შეურაცხმყოფელ ისტორიას თავად ბატონი რეზო ჰყვება თავისი უფროსი ძმის, ბორიას, მონათხრობის მიხედვით:

ერთხელ ბიჭები მათი დედის ძალიან ახლობელი ადამიანის ოჯახში მისულან. შუა ზამთარი ყოფილა და საშინლად ციოდა თურმე. სახლში რომ შესულან, შემცივნებული ბავშვები ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს მიფიცხებიან. ცოტა ხნის შემდეგ ოჯახის უფროსი შემოსულა. ბუხართან მიფიცხებული ბავშვები რომ უცვნია, ყვირილი აუტეხავს: ამათ აქ რა უნდათ, ამ ტროცკისტის შვილებსა და ძაღლის ლეკვებსო. ეს უთქვამს და სულ წიხლის კვრით გამოუყრია ბიჭები.

ამ ამბავს რომ იხსენებს ბატონი რეზო, იქვე ირონიულად დასძენს: ნეტავ ბორიამ თუ მაინც იცოდა-ვინ იყო ტროცკი ან რატომ მოგვნათლეს ტროცკის შვილებადო!

თავისთვად ცხადია, თუ ხუთი წლით მასზე უფროსმა ბორიამ არ იცოდა-ვინ იყო ტროცკი, მითუმეტეს,ეს არ შეიძლებოდა სცოდნებოდა ხუთი წლით მასზე უმცროს რეზოს, იმ რეზოს, რომელიც მაშინ, როცა მისი„ტროცკისტი“

მამა დაიჭირეს ჯერ ხუთი თვისაც არ იყო. სამწუხაროდ, ასეთი ეპიზოდი არაერთი იყო მათ გაუსაძლის ცხოვრებაში.

მიუხედავად რეჟიმის სიმკაცრისა, სიდუხჭირისა და ცხოვრების გაუსაძლისი პირობებისა, მიუხედავად მრავალი დაუმსახურებელი დამცირებისა და შეურაცხყოფისა, ბიჭებს ერთი რამ მაინც ამშვიდებდა და ანუგეშებდა. ეს ის იყო, რომ სადაც კი წავიდოდნენ, კეთილი ადამიანებისაგან ყველგან და ყოველთვის ესმოდათ: „ბიჭებო, თქვენ საოცარი მამა გყავდათ“, „თქვენ პატიოსანი მშობლების შვილები ხართ“, „თქვენ მამათქვენივით განათლებულები და პატიოსანი ადამიანები უნდა გახდეთ, რომ არ შეარცხვინოთ მისი სახელი“.

როგორც ბატონი რეზო წერს, ეს სიტყვები მალამოსავით ედებოდა მათ გულს და ისინიც ცდილობდნენ არ გადაეხვიათ მამის გზისათვის- საკუთარ განათლებაზე ეზრუნათ და, რაც მთავარია, არ გაბოროტებულიყვნენ და სიკეთის და სინათლის გზით ევლოთ.

პირველი ნაბიჯები ცეკვაში და ცეკვის პირველი მასწავლებელი /ზივი ჩიხლაძე/

„ჩიტის ბუდესავით პატარა და უსინათლო ჩვენი საცხოვრებელი ოთახი ბათუმის საქალაქო კულტურის სახლის ეზოში იდგა“, - ბრძანებს ბატონი რეზო თავის წიგნის „წერილები ქორეოგრაფიაზე“ შესავალში. კაცმა რომ თქვას, სიდიდით არც კულტურის სახლი გამოირჩეოდა, პირიქით, ძალიანაც პატარა იყო. მაგრამ ამ პატარა

შენობაში „საწრეო მუშაობა ნამდვილად ჩქეფდა. სხვა წრეების გვერდით მუშაობდა ცეკვის ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელი ცნობილი ქორეოგრაფი და ფიზიკურად ძლიერი და პრინციპული პიროვნება გივი ჩიხლაძე გახლდათ“.

მოხდა ისე, რომ ბატონი გივი აღმოჩნდა ბატონი რეზოს ცეკვის პირველი მასწავლებელი. იმის მიხედვით, თუ რა დიდი სითბოთი და სიყვარულით ახასიათებს ბატონი რეზო თავის პირველ მასწავლებელს, ადვილად მიხვდებით, რა დიდი გრძნობა გააჩნდა მას თავისი მასწავლემლის მიმართ, რომლისგანაც, ცეკვის გარდა, დაუვიწყარი ზნეობრივი გაკვეთილებიც მიიღო.

დავიწყოთ იმით, რომ ეს დიდებული ადამიანი, თუმც ტანად არცთუ დიდი, ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო. ამის მიუხადავად, როგორც ბატონი რეზო ბრძანებს, ბათუმში არავის ახსოვს ოდესმე ჩხუბი მას წამოეწყო, ან უმიზეზოდ ვინმე დაეჩაგროს.

ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე: ბავშვი რომ თავის მასწავლებელს გულით შეიყვარებს, იქვე მის გაფეტიშებას იწყებს. ყველა თვისება, ქცევა , ლაპარაკი, მოძრაობა მოსწონს მისი. ბატონი რეზოს შემთხვევაშიც ასე მოხდა. განსაკუთრებით უნდოდა - ფიზიკურად ისეთივე ძლიერი ყოფილიყო, როგორც მისი მასწავლებელი, რომ მასავით შეძლებოდა უსამართლოდ დაჩაგრულის დაცვა.

საინტერესოა მოწაფე-მასწავლებლის პირველი შეხვედრა; დაიწყებდა თუ არა ბატონი გივი რეპეტიციას, იმ ეზოს ბავშვები ჩუმად აიპარებოდნენ მეორე სართულზე და,

როგორც ბატონი რეზო სიყვარულით იხსენებს, ფანჯრებზე მერცხლებივით შემოეწყობოდნენ ხოლმე. მართალია, ეს „დაუპატიჟებელი სტუმრები“ ცდილობდნენ - არ ეხმაურათ და ამით ხელი არ შეეშალათ რეპეტიციის ნორმალური მსვლელობისათვის, სამწუხაროდ, ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. რამდენიმე უშედეგო თხოვნის შემდეგ - დაეტოვებინათ მეორე სართულის ფანჯრები, ბატონი გივი მიხვდა, რომ ფანჯრებისაკენ ამგვარი ლტოლვის მიზეზი მარტო ცნობისმოყვარეობა კი არ იყო, არამედ ცეკვისადმი განსაკუთრებული ინტერესი. ამან თავის საქმეზე /ცეკვაზე/ ასე უზომოდ შეყვარებულ გივი მასწავლებელს გზა გაუხსნა ბიჭების გულებისაკენ. ერთხელაც მან თავისთან იხმო ისინი, მოეფერა და ასეთი რამ შესთავაზა: რაკი ცეკვის მიმართ ასეთი ინტერესი გაქვთ, აჭარის პიონერთა სახლში შევქმნი მოსამზადებელ ჯგუფს და ყველას,ვისაც ამის სურვილი გექნებათ, იქ ჩაგრიცხავთო /ამ დროს ბატონი გივი ბათუმის პიონერთა სახლში მთავარი ქორეოგრაფი იყო და შეპირებულის შესრულება არ გაუჭირდებოდა, ხოლო მათთვის,ვინც თავს გამოიჩენთ როგორც სწავლითა და დისციპლინით, ისე - ცეკვით, სპეციალურ ანსმბლს შევქმნი, რომელსაც თქვენი ხათრით „მერცხალს“ დავარქმევ და ყველას იქ ჩაგრიცხავთო.

გამოცდილ მასწავლებელს გუმანმა არ უმტყუნა. თითქმის ყველა ბავშვმა დაიწყო იმ მოსამზადებელ ჯგუფში მეცადინეობა და ისეთი ინტერესი და მონდომება გამოამჟღავნა, რომ ბატონმა გივიმ მათ დანაპირები შეუსრულა - ანსამბლიც შეუქმნა და მას „მერცხალიც“ უწოდა. მნიშვნელოვანი აქ ის იყო, რომ თითქმის ყველა ის

ბავშვი, ვინც ცეკვისადმი ინტერესი და ნიჭი გამოავლინა, ჩარიცხა ამ ანსამბლში. მათ შორის, თავისთავად ცხადია, ბატონი რეზო ჭანიშვილიც იყო.

ამ ისტორიას რომ იხსენებს ბატონი რეზო, კმაყოფილებით დასძენს, რომ ბატონი გივი ჩიხლაძის მიერ შექმნილი „მერცხალი“ კვლავაც მოქმედია და კვლავაც ახალი მერცხლების დაფრთიანებას ემსახურება.

ცეკვის თანდაყოლილმა ნიჭმა და სიყვარულმა, რასაც უდიდესი შრომისმოყვარეობა დაემატა, ბატონი რეზო ჭანიშვილი ანსამბლის ერთ-ერთ წამყვან სოლისტად აქცია, ბატონი რეზოს საქმიანობა ამ ანსამბლშიდიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ უკიდურეს გაუსაძლის პერიოდს დაემთხვა. იყო შიმშილი, სიცივე, ეკონომიური სიდუხჭირე, რასაც ბევრი ვერ უძლებდა, საყვარელ საქმეს წყდებოდა და ეს ნიჭით სავსე ადამიანები ზედმეტ „ბარგად“ იქცეოდნენ. რაც შეეხება ბატონ რეზოს, იგი მზად იყო ყველაფრისთვის გაეძლო, ოღონდაც მისი საყვარელი საქმე ეკეთებინა. ტყუილად ხომ არ ამბობს იგი თავისი 75 წლის იუბილეზე: ასე მოკლედ და მოხდენილად: „ცეკვა ჩემი სიცოცხლეა“.

დიდმა შრომისმოყვარეობამ, დაუზარელმა ზრუნვამ საკუთარ წინსვლასა და განვითარებაზე , იგი იქამდე მიიყვანა, რომ 1955 წელს ბატონი რეზო ჭანიშვილი აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრი გახდა.

რასაკვირველია, ამ ანსამბლში მოხვედრა 18 წლის ყმაწვილისათვის თავისთავად მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რადგან იგი, როგორც თავად ამბობს, ცხოვრებაში

ახალი ეტაპის დაწყებას ნიშნავდა, მაგრამ ახალი და მაღალი მწვერვალების დაპყრობის ჟინით გულანთებული ახალგაზრდისათვის მიღწეული საკმარისი არ აღმოჩნდა. ხშირად ხდება ხოლმე ასე: ღვთიური მადლით ცხებული ადამიანები ინტუიციით გრძნობენ, რომ ისინი დიდ საქმეთა საკეთებლად მოავლინა ამქვეყნად არსთა გამრიგემ და საკუთარი შესაძლებლობის შეფასებაში სხვათათვის გასაკვირველ სითამამეს იჩენენ. საილუსტრაციოდ უცხოელთაგან თუნდაც ფრიდრიხ ნიცშეს გახსენება იკმარებდა, ქართველთაგან დიდი გალაკტიონის. ბატონ რეზოს ასეთი პრეტენზია სიტყვიერად არ გამოუთქვამს, თუმცა მიღწეულით დაუკმაყოფილება და სწრაფვა ახალი სიმაღლეებისაკენ, ამ შინაგანი ენერგიის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ /ყოველშემთხვევაში, ამ ფაქტს ასე ახსნიდა არაცნობიერი ფსიქიკურის დიდი მკვლევარი ზიგმუნდ ფროიდი/.

დიახ, წინსვლისა და მიღებული ცოდნის გაზრდისა და გაღრმავების დაუოკებელმა სურვილმა მიატოვებინა მას აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და გეზი თბილისის კულტსაგნმანათლებლო სასწავლებლისაკენ ააღებინა.

თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლის პერიოდი

ამ სასწავლებელში სწავლის პერიოდი გამორჩეული და განსაკუთრებული წლები იყო ბატონი რეზო ჭანიშვილის ცხოვრებაში. ეს იყო ცოდნის შეძენის, ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის დაუფლებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავების წლები. ამ საქმეში მას დიდად დაეხმარა ისეთი გამოცდილი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: კონსტანტინე მანჯგალაძე, ლილი გვარამაძე, ავთანდილ თათარაძე, ვახტანგ გურგენიძე, ანტონ ჩიხლაძე, დავით ჯავრიშვილი და სხვები. ეს ადამიანები, გარდა იმისა, რომ გამოცდილი პედაგოგები იყვნენ, იყვნენ ასევე ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიის ღრმა მცოდნენი, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი ქორეოგრაფიაში.

როგორც ზემოთ ითქვა,ბატონმა რეზო ჭანიშვილმა თბილისის კულტსაგან- მანათლებლო სასწავლებელში 1956 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და მოეწყო კიდეც, მაგრამ იმავე წელს იგი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, ე.ი. 1959 წელსიგი კვლავ მიუბრუნდა აღნიშნულ სასწავლებელს და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ იგი ბატონ კონსტანტინე მანჯგალაძის კლასში მოხვდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი კონსტანტინე სასწავლებელში საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო იმიტომ, რომ გამოცდილი პედაგოგი და არაჩვეულებრივი პროფესიონალი იყო, არამედ იმიტომ, რომ იყო კაცური კაცობისა და ზნეობრივი სიწმინდის ეტალონი. ერთი

სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში ბატონ რეზოს აშკარად გაუმართლა. ხომ გაგიგონიათ: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა,გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი რეზო ჭანიშვილი უდიდესი პასუხიმგებლობით ეკიდებოდა სასწავლო საგნების შესწავლას და საუკეთესო შედეგებსაც აღწევდა, იგი მაინც პოულობდა დროს, სწავლის პარალელურად, ეცეკვა იმ ანსამბლში, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული ქორეოგრაფი და დიდი მამულიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე ხელმძღვანელობდა, სწორედ ამ ანსამბლში მონაწილეობამ მოუპოვა მას მსოფლიო ფესტივალის ლაურეატობა და ოქროს მედალი (მაგრამ ამაზე ქვემოთ).

ასე რომ, ბატონ რეზო ჭანიშვილს ერთდროულად მოუწია ორი დიდი ქართველის, სასიქადულო მამულიშვილების კონსტანტინე მანჯგალაძისა და ბუხუტი დარახველიძის მოწაფეობა და ისიც, როგორც ბეჯითი მოწაფე, ცდილობდა ორივესაგან საუკეთესო ადამიანური თვისებები აეღო.

კიდევ ერთ დიდ, სასიქადულო ადამიანთან მოუწია საქმიანობა ბატონ რეზო ჭანიშვილს. ეს დავით ჯავრიშვილი იყო. იგი იმ დროს, ავადმყოფობის გამო, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში არ ასწავლიდა, მაგრამ მას შეხვდა როგორც მისი დიპლომის ხელმძღვანელს. დავით ჯავრიშვილი ცნობილი იყო როგორც ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზული თეორეტიკოსი. იმ პერიოდისათვის ბატონ დავით ჯავრიშვილის ორივე ფეხი მოკვეთილი ჰქონდა,

ამიტომ დიპლომანტი რეზო ჭანიშვილი კონსულტაციებზე მასთან სახლში დადიოდა, როგორც ბატონი რეზო იგონებს, მის მდგომარეობაში მყოფ ბევრ ადამიანს შეიძლებოდა გული გატეხოდა, დეპრესიაში ჩავარდნილიყო, მაგრამ ბატონი დავითი უძლიერესი ნებისყოფის და ხასიათის კაცი იყო, მას არც მუშაობა შეუწყვეტია და არც დიპლომანტებთან მუშაობაზე უთქვამს უარი.

მოკლედ და საკმარისად ძუნწად წერს ბატონი რეზო ჭანიშვილი თავის ეკონომიურ მდგომარეობაზე კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლების დროს. დედამისი ფაქტიურად ლოგინად იყო ჩავარდნილი, დამხმარე კი ოჯახს არავინ ჰყავდა. მისი ერთადერთი შემოსავალი სტიპენდია იყო, რომელიც, თავისთვად ცხადია, არ ჰყოფნიდა. ბევრი ფიქრისა და გატეხილი ღამეების შემდეგ იგი მივიდა უმძიმეს გადაწყვეტილებამდე-სწავლა უნდა შეეწყვიტა. რაკი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, დაწერა კიდეც განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე და სასწავლებლიდან განთავისუფლება ითხოვა-ისე, რომ თავისი საყვარელი მასწავლებლისათვის, კონსტანტინე მანჯგალაძისათვის, არაფერი უთქვამს.

დირექტორმა, ცხადია, გულგრილად არ მოაწერა ხელი მის განცხადებას. ენანებოდა ნიჭიერი მოწაფის გაშვება. საქმეში ბატონი კონსტანტინე მანჯგალაძე ჩარია. მან მაშინვე თავისთან დაიბარა ბატონი რეზო, ჯერ დატუქსა: ახალგაზრდა კაცი ასე რამ შეგაშინა, გული რამ გაგიტეხა, ადამიანების ნდობა რამ დაგაკარგვინა, რატომ არ იფიქრე იმაზე, რომ ამას შენი პედაგოგები არ დავუშვებდით. „დიდხანს მესაუბრა,-იგონებს ბატონი რეზო, -ბოლოს

თითქმის ბრძანების კილოთი მითხრა: „განცხადებას ხვალვე გამოიტან, მე ორი შვილი მყავს და ჩემს ოჯახში მშობლიური სითბო, საჭმელი და დასაწოლი მესამესთვისაც მოიძებნებაო“.

კითხულობ ამ სიტყვებს და გული სიამაყით და მადლიერებით გევსება იმ კეთილშობილი ადამიანების მიმართ, რომელთაც, თუმც თავადაც უჭირდათ, კიდევ უფრო მეტად იჭირვებდნენ და სხვა ადამიანებს ხელს უმართავდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდნენ როგორც მორალურად,ისე მატერიალურად. ასე მოიქცა ბატონი კონსტანტინე მანჯგალაძე, რომელმაც თავის თავზე აიღო ზრუნვა თავისი ნიჭიერ, მაგრამ ხელმოკლე, მოწაფეზე, რომელსაც სასწავლებლის დასრულებამდე არ მოჰკლებია მასწავლებლის „მამაშვილური სითბო და საინტერესო სააღმზრდელო გაკვეთილები“.

ცამდე მართალია ბატონი რეზო ჭანიშვილი: რომ არა კონსტანტინე მანჯგალაძე და მისი მსგავსი ადამიანები, იგი ვერ ჩამოყალიბდებოდა ისეთ ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანად, როგორიც ახლა არის.

და ბოლოს, გვინდა მკითხველს გავაცნოთ ის, თუ როგორ აფასებს მასწავლებელი-მოსწავლე ერთმანეთს:

კონსტანტინე მანჯგალაძე: „ჩემი აღზრდილებიდან რეზო ჭანიშვილი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა“

რეზო ჭანიშვილი: კონსტანტინე მანჯგალაძე ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ბერმუხაა, რომელიც დახუნძლულია სიბრძნით, გამოცდილებით, ცოდნით და

კულტურით. შემთხვევით არ უწოდებენ მას **ქართული ქორეოგრაფიის იაკობ გოგებაშვილს.**

მსოფლიო ფესტივალის ლაურეატობა და ოქროს მედლის მოპოვება

როგორც უკვე ითქვა, ბატონი რეზო ჭანიშვილი, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლების პარალელურად, ბატონი ბუხუტი დარახველიძის ან-სამბლში ცეკვავდა. ბატონი ბუხუტის დასს უკვე მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში ჰქონდა სახელი განთქმული. ამიტომაც, როდესაც გადაწყდა, რომ 1962 წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენთა VIII მსოფლიო ფესტივალში საქართველოს მოცეკვავეებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, სწორედ ბატონ ბუხუტი დარახველიძეს დაევალა ანსამბლის მომზადება ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

თავისთავად ცხადია, ამ ურთულესი ამოცანის შეს-რულებას ბატონი ბუხუტი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა. იგი არ დაკმაყოფილდა მარტო თავისი ანსამბლის წევრებით და სხვა უმაღლესი სასწავლებლის ანსამბლებიდანაც მოიწვია მოცეკვავეები მათ შორის საუკეთესოთა შესარჩევად. დაიწყო მუხლჩაუხრელი, ინტენსიური მუშაობა. ეს იმდენად ქანცგამწყვეტი საქმე გამოდგა ბევრისთვის, რომ უბრალოდ ვეღარ შეძლო მუშაობის გაგრძელება და თავად გავიდა დასიდან.

დარჩენილთათვის ბატონი ბუხუტი ხშირად აწყობდა საკონკურსო შეჯიბრებებს, რომ საუკეთესოთა შორის

საუკეთესოები შეერჩია. ბუნებრივია, ჯგუფის შემადგენლობა თანდათან მცირდებოდა. საბოლოოდ დასში ის 14 მოცეკვავე და 4 მუსიკოსი დარჩა, ჰელსინკში რომ უნდა გამგზავრებულიყო. მათ შორის, ცხადია, რეზოჭანიშვილიც იყო.

ჰელსინკში გამართულ მსოფლიო ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის უამრავი ქორეოგრაფიული ანსამბლი ღებულობდა მონაწილეობას. ძნელი იყო მათ შორის დაწინაურება, მითუმეტეს გამარჯვებულის ტიტულის მოპოვება, მაგრამ ბატონი ბუხუტის გამორჩეულმა ჯგუფმა ეს შეძლო, რის გამოც დასის ყველა წევრმა ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი დაიმსახურა. ასე გახდა ჯერ კიდევ კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტი რეზო ჭანიშვილი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი.

ფესტივალიდან დაბრუნებისთანავე ყველა მონაწილე - 14 მოცეკვავე და 4 მუსიკოსი წარდგენილი იქნა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებაზე, მაგრამ ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ამ წოდებისათვის ისინი ძალზე ახალგაზრდები იყვნენ და ყველა მონაწილე დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო ბატონ ბუხუტი დარახველიძეს საქართველოს სახალხო არტისტის უმაღლესი წოდება მიენიჭა.

კვლავ მშობლიურ ბათუმში

1963 წელს კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის წარჩინებით დასრულების შემდეგ ბატონი რეზო ჭანიშვილი კვლავ მშობლიურ ბათუმში დაბრუნდა. მალე იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტთან არსებულ ცეკვის ანსამბლს ჩაუდგა სათავეში. ეს უდიდესი ნდობა და პატივი იყო პროფესიული სასწავლებელდამთავრებული გამოუცდელი ყმაწვილისათვის. აცნობიერებდა რა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც მას ამ დანიშვნის გამო დაეკისრა იგი, ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის ნდობა გაემართლებინა.

დიდმა შრომამ, ძლიერმა ნებისყოფამ და ხასიათის სიმტკიცემ თავისი სასიკეთო შედეგი მოიტანა. მალე ანსამბლმა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, დიდი სახელი მოიხვეჭა არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, ანუ საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ანსამბლი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმ წლებში ჩატარებულ საოლქო, რესპუბლიკურ თუ საკავშირო /იგულისხ. ყოფილი საბჭოთა კავშირი/ ფესტივალებში და მისი ლაურეატიც არაერთხელ გამხდარა.

ადვილი არ იყო თითქმის მისი ტოლა გოგო-ბიჭებისაგან შემდგარი ანსამბლის იმ დონემდე ხელმძღვანელობა, რომ იგი მრავალი კონკურსის ლაურეატი გამხდარიყო, მაგრამ ბატონმა რეზომ არა მარტო ეს შეძლო, არამედ, ამის პარალელურად, საბავშვო ქორეოგრაფიაშიც დიდი

დატვირთვით აგრძელებდა მუშაობას.

რამდენიმე „ფრონტზე“ საქმიანობა თითქოს თავიდანვე დაებედა ბატონ რეზოს. ამჯერადაც ასე მოხდა. ისე, რომ ანსამბლის ხელმძღვანელობა არ დაუტოვებია, მან 1965 წელს ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის პროფ. კარლო დოლიძის და პრორექტორის ირაკლი ნაკაიძის დაჟინებული მოთხოვნით, მისაღები გამოცდები ჩააბარა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაასრულა 1970 წელს.

1970 წელს ბატონი რეზო ჭანიშვილი ბათუმის კულტურის სახლის მთავარ ქორეოგრაფად ინიშნება. როგორც თვითონვე იხსენებს თავის „შემოქმედებით ბიოგრაფიაში“ იყო აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე, აჭარკოოპკავშირისა და აჭარის პიონერთა სასახლის, ასევე, N2, 9, 22 სკოლების მთავარი ქორეოგრაფი.

დიდ სახელსა და წარმატებას არც თუ იშვიათად ახლავს ჩავარდნები, შემოქმედებითი პაუზები. ბატონი რეზოსათვის ასეთი გამოდგა 70-იანი წლები, როცა იგი ფაქტიურად ჩამოსცილდა სასცენო საქმიანობას, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს პასიურობა, ინდიფერენტიზმი და გულგრილობა დიდხანს არ გაგრძელებულა. აწ განსვენებულმა გამოჩენილმა ქორეოგრაფმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ალექსანდრე ჯიჯეიშვილმა კატეგორიულად მოსთხოვა ბატონ რეზოს, რომ იგი მისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, სასცენო მოღვაწეობასაც

დაბრუნებოდა, როგორც მოცეკვავე, როგორც თუნდაც ცეკვა, „ქართულის“ უბადლო შემსრულებელი.

ბატონმა რეზომ, ყურად იღო რა გამოცდილი ქორეოგრაფის მამაშვილური შეგონება, კვლავ დაუბრუნდა სასცენო მოღვაწეობას, დაუბრუნდა იგივე ძალითა და შემართებით, იგივე ჟინითა და გატაცებით, როგორც ადრე.

დაუღალავმა შრომამ, საქმის სიყვარულმა და ერთგულებამ თავისი შედეგი გამოიღო. კერძოდ, 1968 და 1972 წლებში ბატონმა რეზომ მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში გამართულ ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსებში, რამაც მას ჯერ ვერცხლი, მერე კი ოქროს მედლები მოუპოვა.

განსაკუთრებული წარმატება მას სწორედ 1972 წელს მოიპოვა, როცა შეასრულა ცეკვა „ქართული“. ამ ცეკვაში მისი მეწყვილე იყო ბუნების შესანიშნავი ქმნილება, ასევე ცეკვა „ქართულის“ ბრწყინვალე შემსრულებელი მოცეკვავე მედეა /დუდი/ გვაზავა (ამჟამინდელი მისი მეუღლე).

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში

1975 წელი მნიშვნელოვანი შემობრუნების წელი იყო ბატონ რეზო ჭანიშვილის ცხოვრებაში. როგორც თვითონ ჰყვება, მოხდა ისე, რომ ერთხელაც ქართული ქორეოგრაფიის უდიდესმა მეტრმა ბატონმა ილიკო სუხიშვილმა და სკოლა-სტუდიის მაშინდელმა დირექტორმა

ბატონმა გოგი სუხიშვილმა იგი მიიწვიეს თბილისის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის ჯერ პედაგოგად, შემდეგ კი ამ სტუდიის დირექტორის მოადგილედ და ცეკვების დამდგმელად.

როგორც ამბობენ, სადაც მიდიოდა, წარმატებებიც თან მიჰყვებოდა ბატონ რეზოს. აი, აქაც სახელმწიფო სკოლა-სტუდიის ანსამბლმა არნახულ წარმატებას მიაღწია როგორც საქართველოში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში არაერთხელ მოუპოვებია არნახული წარმატება და „გრან-პრის“ მფლობელიც გამხდარა.

სკოლა-სტუდიის დირექტორის მოადგილეობას ხელი არ შეუშლია ბატონ რეზოსთვის პედაგოგიური მუშაობის პარალელურად გაეგრძელებინა დამდგმელი ქორეოგრაფის საქმიანობა. სწორედ ამ პერიოდში ამზადებს იგი არაერთ ანსამბლს, რომლებიც წარმატებით გამოდიან სხვადასხვა ფესტივალებსა და დათვალიერებებზე.

ამავე პერიოდში ბატონმა რეზო ჭანიშვილმა მიწვევა მიიღო ხელისუფლებისგან - ყოფილიყო თბილისის „დინამოს“ სტადიონის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიების მთავარი ქორეოგრაფი. სიამოვნებით იგონებს იგი აგრეთვე მის მიერ დადგმულ საზეიმო ღონისძიებებს სპორტის სასახლეში გამართულ ახალგაზრდულ, შრომის დღესასწაულებსა და სამთავრობო კონცერტებზე და ა.შ. ერთი პატარა ბროშურის ფარგლებში შეუძლებელია თითოეული მათგანის ჩამოთვლაც კი. თუმცა განსა-

კუთრებით უნდა გამოიყოს ბატონი რეზო ჭანიშვილის ხელმძღვანელობით ქალაქ ქუთაისში, როგორც ქალაქის ცენტრში, ისე დიდების მემორიალთან, გამართული რამდენიმე მასშტაბური ღონისძიება. ამ ღონისძიებებში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა და, როგორც წესი, მთლიანად მთელი ქალაქის დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე.

ყოველი ამგვარი ღონისძიება დიდად ზრდიდა ბატონი რეზოს როგორც ქორეოგრაფის ავტორიტეტს.

მივლინება დამასკოში და სირიის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შექმნა

1978-80 წლებში ბატონი რეზო ჭანიშვილი მთავ-რობის გადაწყვეტილებით მივლინებული იქნა ქ. დამასკოში სირიის ცეკვის ანსამბლის კონსულტანტად და სამხატვრო ხელმძღვანელად. დავალება ურთულესი იყო. წარმოიდგინეთ უცხო ქვეყანა, უცხო კულტურა, უცხო ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, უცხო ადამიანები, უცხო გარემო, თვით კლიმატიც კი განსხვავებული. ყველაფერ ამას კი დროულად უნდოდა ალღოს აღება და შეგუება, მაგრამ ბატონი რეზოს თავდაუზოგავმა შრომამ ის შედეგი გამოიღო, რომ დათქმულ ვადებში სირიის ცეკვის ანსამბლს ქვეყნის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა და საერთაშორისო დონის ანსამბლად იქცა.

დამასკოში წასვლამდეც და დამასკოდან დაბრუნების შემდეგაც ბატონმა რეზო ჭანიშვილმა როგორც მოცეკვავემ,

როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა და ჟიურის წევრმა არა ერთი ქვეყანა მოიარა, შეხვდა საინტერესო ადამიანებს, უდიდეს მოცეკვავეებს და ქორეოგრაფებს.

დამასკოში მოპოვებულმა დიდმა ავტორიტეტმა კიდევ უფრო გაზარდა მისი პოპულარობა. იგი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ქორეოგრაფად იქცა.

მოღვაწეობა ქალაქ ქუთაისში

1980 წელს ბატონ რეზო ჭანიშვილს სირიაში მივლინების ვადა გაუვიდა და იგი სამშობლოში დაბრუნდა. თითქმის მაშინვე საქართველოს კულტურის სამინისტრომ იგი, ცნობილ ლოტბართან ჯემალ ჭკუასელთან ერთად, ქალაქ ქუთაისში გაგზავნა განსაკუთრებული დავალებით, კერძოდ, მათ „მეორე ინდუსტრიულ ქალაქში“, როგორც იმ პერიოდში ქუთაისს მოიხსენიებდნენ ხოლმე, უნდა ჩამოეყალიბებინათ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. მიაქციეთ ყურადღება: კი არ გაეძლიერებინათ, კი არ უნდა ეხელმძღვანელათ უკვე არსებული ანსამ-ბლისთვის, არამედ შეექმნათ სრულიად ახალი ანსამბლი. ეს არ იყო ადვილი დავალება და ადვილად შესასრულებელი საქმე, მაგრამ ბატონ რეზოს უკან დახევა არ ჩვეოდა, იგი, ბატონ ჯემალ ჭკუასელთან ერთად, ჩვეული ენერგიითა და თავდადებით შეუდგა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებას. გავიდა ხანი და მათი მცდელობა წარმატებით დასრულდა, -დიდი სახელმწიფო ანსამბლი შეიქმნა. ანსამბლის ჩამოყალიბებას შემდეგ მოჰყვა ქუთაისის ქორეორაფიული სახელმწიფო

სკოლა-სტუდიის ჩამოყალიბება. ამ სკოლა-სტუდიის ჩამოყალიბების მიზანი სრულიად ნათელი იყო: მას უნდა მოემზადებინა ყმაწვილები, რომელთა შორის საუკეთესონი შეავსებდნენ ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რიგებს. ჯერ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებამ, მერე კი ქორეოგრაფიული სახელმწიფო სკოლა-სტუდიის შექმნამ საგრძნობლად გამოაცოცხლა „სავარდო და სამაისო“ ქუთაისის კულტურული ცხოვრება. ცხადია, ქუთაისის სიმღერისა დაცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მარტო ქუთაისში როდი მართავდა კონცერტებს, ხოლო ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია მარტო ქუთაისს როდი ემსახურებოდა. იგი ყოველ წელს აცხადებდა მოზარდთა მიღებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველწლიურად მრავლდებოდა ცეკვის ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი.

კვლავ თბილისი და კვლავ ახალი ანსამბლის („მერანი“) ჩამოყალიბება

მხოლოდ სამი წელი იმუშავა ბატონმა რეზომ ქუთაისში. 1983 წელს იგი კვლავ თბილისს დაუბრუნდა. ცხადია, იმგვარ პროფესიონალს, როგორც ბატონი რეზო იყო, ბევრი მოწვევა ექნებოდა, მაგრამ მას მაინც ერთი იმ იდეის ხორცშესხმა უნდოდა, რომელიც წლების განმავლობაში იზიდავდა. ეს იყო საბავშვო ქორეოგრაფიის განვითარება. ბატონმა რეზომ კარგად იცოდა: სახელმწიფო ანსამბლები რომ ძლიერები ყოფილიყვნენ როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც, ქორეოგრაფისადმი ინტერესი, სულ პატარა ასაკიდან უნდა გაჩენილიყო. თუ

შედარება მკრეხელობად არ ჩაგვეთვლება, როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანად ისე ვერ ჩამოყალიბდება ადამიანი, თუ მან ბავშვობიდანვე არ შეისისხლხორცა ქრისტიანული მცნებები და ქრისტიანული ცხოვრების წესი, ისეა აქაც. ბავშვობიდანვე უნდა გაჩენილიყო ინტერესი ქართული ქორეოგრაფიულ ხელოვნებისადმი, ბავშვობიდანვე უნდა „შეჰყროდათ ცეკვის სენი“ ყმაწვილებს, ისე რომ, მერე იგი არაფერს ჩაეკლა. ამიტომ იყო, რომ ბატონმა რეზომ მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა (ახლანდელ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე), სადაც მან კიდევ ერთი ახალი ანსამბლი ჩამოაყალიბა, სახელწოდებით „მერანი“.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი რეზო ძალზე გადაღლოილი იყო და გადაწყვეტილი ჰქონდა რამდენიმე თვით მაინც დაესვენა, რისი უფლებაც მას ფაქტიურად არ მისცა დიდებულმა მამულიშვილმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მაშინდელმა დირექტორმა ბატონმა თემურ ჟღენტმა.

უკვე ითქვა და აქაც გავიმეორებთ: ბატონი რეზოს მიზანი არ იყო გახსნილიყო ცეკვის წრე, სადაც მოზარდები მხოლოდ იმ დონეზე ისწავლინენ ქართულ ცეკვას, დაბადების დღეებსა და ქორწილებში ხელს რომ გაშლიდნენ და რამდენიმე წრეს შემოუვლიდნენ, არამედ მას უნდოდა დიდი ანსამბლების მუდმივი ცვლა მოემზადებინა იმ მიზნით, რომ ქართული ცეკვა მაღალ პროფესიულ დონეზე განვითარებულიყო და რომ მისი მასშტაბები სულ უფრო მეტად გაზრდილიყო.

ჩანაფიქრი კეთილშობილი იყო და პატრიოტულიც, დიახ, პატრიოტული, რადგან ყველას აქვს თავისი „დიდგორი“. ბატონი რეზოსთვის ქართული ცეკვის მსახურება, ქართული ცეკვისთვის ახალი კადრების მომზადება ნამდვილი დიდგორი იყო.

დიდმა მიზანმა, თავდაუზოგავმა შრომამ, ზღვა ენერგიამ და საქმისადმი თავდადებამ თავისი შედეგი გამოიღო, სულ მალე ბატონმა რეზომ ისეთი ანსამბლი შექმნა,რომელმაც შორს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი. იყო საგასტროლო ტურნეები, იყო აღტაცებული რეცენზიები.ასე მაგალითად: ანსამბლ „მერანის“ გამოსვლას გერმანიაში რადიოსადგურმა „ბი-ბი-სიმ“ უმაღლესი შეფასება მისცა: „ჰამბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „მერანის“ კონცერტი - ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“.

ანსამბლი „მერანის“ მუშაობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი შედეგი ის იყო, რომ მან 1985 წლის ივლისში მოსკოვში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო XII ფესტივალზე ლაურეატობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

რას ნიშნავს „ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“?!

ცეკვით დაინტერესებულმა ყველა ადამიანმა კარგად იცის, რომ ქართული ხალხური ცეკვის ისტორია საუკუნეებს ითვლის! მის შესახებ აღფრთოვანებით წერდნენ უძველესი ისტორიკოსები.

ამ ცეკვებს ადამიანები ასევე საუკუნეებით სწავლობდნენ და მათი პრაქტიკული გამოცდილება ასევე საუკუნეებს მოიცავს. ასეთ სიტუაციაში ძნელია, ვიტყოდით, შეუძლებელიც კია, დადგა ახალი ცეკვა. „ახალი ცეკვის დადგმა“ აქ, ცხადია, პირობითი ტერმინია, რადგან იგი ვერ იქნება სრულიად ახალი, მოწყვეტილი ხალხურ ძირებსა და ფესვებს. ამდენად, „ახალი“ ნიშნავს რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებების /სიახლეების/ შეტანას, ახალი სულის შთაბერვას ძველში და არა სრულიად ახალს, უცნობს, როგორც ჰერმენევტიკოსები იტყვიან, იგი ის „უცნობი ნაცნობია“, რომელიც ერთდოულად ძველიცაა და ახალიც. ბატონ რეზოს კი ბევრი ასეთი ცეკვა აქვს დადგმული. სწორედ ამის გამო იყო, რომ ცნობილმა ქორეოგრაფებმა, ამ საქმის საუცხოო სპეციალისტებმა შემოიტანეს სპეციალური ტერმინი „ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“.

არ ვიქნებოდით მართალი, თუ ვიტყოდით, რომ ახალი ცეკვის დადგმა, ან არსებული /ადრე დადგმული/ ცეკვის ორიგინალური ინტერპრეტაცია ბატონ რეზო ჭანიშვილთან მიმართებაში იხმარება მხოლოდ. არა, ცხადია, ეს ასე არაა. ბევრი ქორეოგრაფი იყო და არის საქართველოში, რომელიც ახალ ცეკვას დგამს, ან დადგმული ცეკვის ახლებურ ინტერპრეტაციას იძლევა/ სანიმუშოდ თუნდაც გიორგი სალუქვაძისა და ენვერ ხაბაძის დასახელება იკმარებდა/, მაგრამ ბატონი რეზო არა მარტო დგამდა,ან ადრე უკვე დადგმული ცეკვის ახალ ინტერპრეტაციას იძლეოდა, არამედ ერთშიც და მეორეშიც თავისი ხელწერა შეჰქონდა, მეტ სიღრმესა და საზრისს სძენდა მას. /მაგრამ

ამაზე ქვემოთ/.

რაკი ტერმინი **„ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“** პირველად ცნობილმა ავტორმა ბატონმა ზაურ ლაზიშვილმა იხმარა, მივყვეთეთ მის მსჯელობას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონი ზაურ ლაზიშვილის აზრით, ბატონი რეზო ჭანიშვილი **„ქართული ხალხური ცეკვის რეფორმატორია“**. რეფორმა, არავითარ შემთხვევაში, არ ნიშნავს ძველის ნგრევას და რაღაც სრულიად ახლის დაწყებას. ასეთი „რეფორმა“ სინამდვილეში მართლა რეფორმა კი არაა, არამედ რევოლუცია, რომელსაც, როგორც წესი, ნგრევა უფრო მოჰყვება, ვიდრე - შენება, ვიდრე - ახლის ქმნა.

ბატონი რეზო ჭანიშვილი ისეთი რეფორმატორია, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არსებითად ეყრდნობა ძველ ძირებს, ძველ საწყისებს და დიდი სიფრთხილითა და ტაქტით შეაქვს მასში ისეთი სიახლე, რომელიც წინ სწევს არსებულს, და არა -უკან ექაჩება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ბატონი ზაურის სიტყვები: რეზო ჭანიშვილი ჩვენი თაობის იმ რეფორმატორებს მიეკუთვნება, რომლებიც სიამაყით მიჰყვებიან ალექსი ალექსიძის, დავით ჯავრიშვილის ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილის, ჯანო ბაგრატიონის გზას. აქ ჩამოთვლილი ლეგენდების გზას ასევე დიდი წარმატებით გაყვნენ ბატონები: გიორგი /ბუხუტი/ დარახველიძე, კონსტანტინე /კოწო/ მანჯგალაძე, ენვერ ხაბაძე, გიორგი სალუქვაძე, ავთანდილ თათარაძე, თუმცა ეს, არავითარ შემთხვევაში, არ უშლით მათ ხელს- იარონ წინ, შექმნან კომპოზიციური სიახლეები, ჩართონთავიანთი

მდიდარი ფანტაზია, გამომგონებლობითი, ანუ კრეატული ნიჭი და უნარი, მოახდინონ „ხალხური მონაპოვრის ნოვატორული გადამუშავება“.

როცა „ჭანიშვილისეულ ქორეოგრაფიაზე“ ლაპარაკობს ბატონი ზაურ ლაზიშვილი, პირველ რიგში, ასახელებს ბატონი რეზო ჭანიშვილის მიერ დადგმულ ცეკვას „ფერხული-ფარცაკუკუთი.“ ზ. ლაზიშვილის თქმით, „მასში განახლებულია ცეკვის ტრადიციული ფორმა, მიკვლეულია გამომსახველობის შთამბეჭდავი სცენები, თვალისმომჭრელია „ზეყრელოს“ სართულებიანი სურათოვნება“.

ბატონ ზაურ ლაზიშვილს „ჭანიშვილისეულ ქორეოგრაფიაში“ასევე შეაქვს ინდივიდუალური და ჯგუფური „ხორუმები“, ურთულესი საბრძოლო საცეკვაო ეპიზოდებით რომ ხიბლავენ მაყურებელს. განსაკუთრებით გამოჰყოფს რეზო ჭანიშვილის მიერ ინტერპრეტირებულ „ხორუმის“ საფინალო აპოთეოზს, რომელიც აგერ უკვე 50 წელია არ ჩამოდის სცენიდან და მას სიამოვნებით იყენებენ საქართველოს მთელი რიგი პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივები.

„ჭანიშვილისეულ ქორეოგრაფიად“ მიაჩნია ქორეოგრაფსა და ქორეოლოგს ზაურ ლაზიშვილს ქუთაისში ბატონ რეზოს მიერ დადგმული „ფარიკაობა“ და ხაზგასმით გამოჰყოფს მას ამ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლებული, ერთფეროვანი „ფარიკაობებისაგან“.

მაინც რომელი თემატიკაა უფრო ახლობელი. უფრო მშობლიური ბატონ რეზო ჭანიშვილის ქორე-

ოგრაფიისათვის?“, - სვამს კითხვას ბატონი ზაურ ლაზიშვილი და, უპირველეს ყოვლისა, ასეთად მიიჩნევს ვაჟკაცური, ჰეროიკული ხასიათის ცეკვებს, თუმცა არც სატრფიალო შინაარსის, ლირიული განწყობის აღმძვრელი და შრომის ამსახველი ქორეოგრაფიული სანახაობებია მისთვის უცხო და ნაკლებად მიმზიდველი.

ცნობილია, რომ ბატონ რეზო ჭანიშვილს ხშირად იწვევდნენ მასშტაბური ხასიათის ღონისძიებების მთავარ ქორეოგრაფად. ასეთი ღონისძიებები უმეტესად იმართებოდა სტადიონებზე, სპორტის სასახლეში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. აქ ბატონი რეზოს მიერ დადგმული ცეკვები გამოირჩეოდა მასშტაბურობით, საზეიმო განწყობილებით და ოპტიმიზმით.

ხშირად ბატონ რეზოს უწევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოცეკვავეთა ანსამბლების თავმოყრა ერთ საზეიმო კონცერტზე და მათი ხელმძღვანელობა, რაც განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ნიჭს და მტკიცე შინაგან მოწესრიგებულობას მოითხოვდა მისგან. სწორედ ამ ნიჭის წყალობით ახერხებდა იგი სხვადასხვა კოლექტივების ერთ დიდ ორგანიზმად გაერთიანებას და ფინალურ ნაწილში, როცა ეს კოლექტივები ერთად იკრიბებოდნენ, სცენაზე ნამდვილი აპოთეოზის /ფეიერვერკის/ შექმას.

ასეთი საზეიმო, მაჟორული განწყობილება, რომელსაც ბატონი რეზოს დადგმული არაერთი ცეკვა იწვევდა მაყურებელში,აძლევს ბატონ ზაურ ლაზიშვილს იმის თქმის უფლებას, რომ მან ტრადიციული ქართული ხალხური ქორეოგრაფიიდან გამოჰყოს სადღესასწაულო და

მასობრივი ქორეოგრაფია და მისი დამკვიდრება ქართულ სცენაზე ბატონ რეზო ჭანიშვილის სახელთან დააკავშიროს.

რეზო ჭანიშვილის მიერ დადგმულ და ინტერპრეტირებულ ცეკვებს ბატონი ზაურ ლაზიშვილი უმატებს „მის საოცრად მოჩუქურთმებულ „განდაგანას“. როგორც ბატონი ზაურ ლაზიშვილი წერს: „ეს იყო ქალ-ვაჟთა ხატოვანი კონფიგურაციებით ანთებული სატრფიალო ცოცხალი ქსოვილი, თვალს რომ ვერ მოაშორებდი მის თითოეულ ფრაგმენტს და მძივებად ასხმულ მრავალფერად პასაჟებს“.

რეზო ჭანიშვილი – საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი

ყოველ კულტურულ ქვეყანას აქვს არა მარტო კულტურის სამინისტრო, რომელიც კულტურისა და ხელოვნების ყოველ დარგს კურირებს, არამედ აქვს შემოქმედებითი კავშირები და საზოგადოებები. ასეთი შემოქმედებითი კავშირები, თავისთავად ცხადია, სამინისტროს საქმიანობის დუბლირებას კი არ ახდენენ, არამედ არეგულირებენ შემოქმედებითი მუშაობის პროცესებს და დარგის წინსვლასა და განვითარებას უწყობენ ხელს.

დღეს საქართველოში ბევრი ასეთი კავშირი და საზოგადოება არსებობს - ზოგიც ძველი და ზოგიც ახალი.მათ შორის ძველია მწერალთა, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირები, რომელთაც მოჰყვა არქიტექტორთა კავშირი /1934/, თეატრალური საზოგადოება /1945წ./,

ჟურნალისტთა კავშირი /1959 წ./, კინემატოგრაფისტთა კავშირი /1963 წ./.

დიდხანს, XX საუკუნის (90-იან წლებამდე არ არსებობდა ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი. ლოგიკა კი დღის წესრიგში აყენებდა ასეთი კავშირის შექმნის აუცილებლობას. სხვა თუ არაფერი , საჭირო იყო რაღაც ერთი ცენტრი, რომელიც თავს მოუყრიდა ქორეოგრაფიის ასობით სპეციალისტს, დასახავდა ამ დარგის წინსვლის ამოცანებს.

ამ გადმოსახედიდან ცოტა უცნაურადაც კი გამო-იყურება, რომ თვით დედა დედოფალმა ნინომ და დიდმა ილიკომაც ვერ დაადგეს თავი საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის შექმნას და მხოლოდ გვიან, 90-იან წლებში,დაარსდა ასეთი კავშირი. კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ვაჟი, გამორჩეული მოცეკვავე, დიდებული მამულიშვილი, ბატონი თენგიზ სუხიშვილი, ხოლო მის პირველ მოადგილედ ბატონი რეზო ჭანიშვილი.

ცხადია, ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა დიდი და შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაო. ცნობილი საბჭოთა ბიურიკრატია ასე ადვილად როდი თანხმდებოდა რაღაც ახალი ორგანიზაციის შექმნას. ამიტომაც საჭირო იყო უამრავი წინაღობების და დაბრკოლებების გადალახვა, ბევრი დოკუმენტის შედგენა, მთავრობის ათასგზის „დალაშქვრა“, რომ სასურველი შედეგისათვის მიგეღწია. ამ მუშაობაში მთელი არსებით იყო ჩართული ბატონი რეზო ჭანიშვილი.

ასე რომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ **ბატონი რეზო ჭანიშვილი არის საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი,** (მან ამ თანამდებობაზე 14 წელი იღვაწა, ხოლო 2010 წელს ერთხმად იქნა არჩეული კავშირის თავმჯდომარედ) თავისთავად ცხადია, ახლადარჩეული ქორეოგრაფიული კავშირი სათავეში ჩაუდგა ქორეოგრაფიის დარგის წინსვლასა და განვითარებას. ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი ქართველ ქორეოგრაფთა ცხოვრებაში.

რეზო ჭანიშვილი კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელ-დამაარსებელი

1980-ანი წლებიდან დაიწყო აქტიურობა კულტურის ინსტიტუტის შექმნის მიმართულებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგი გარემოება გახდა: საქმე ის იყო, რომ არსებობდა ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ხატვა,ფერწერა, გრაფიკა,სკულპტურა, ხატწერა, გრავიურა და ა.შ. უმაღლეს დონეზე ისწავლებოდა და მას „სამხატვრო აკადემია“ ერქვა, არსებობდა დაწესებულება, რომელიც უმაღლეს განათლებას სიმღერაში /ვოკალში/ აძლევდნენ და ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ტექნიკას აუფლებდნენ ახალგაზრდებს და მას „კონსერვატორია“ ერქვა, არსებობდა უმაღლესი სასწავლებლი, რომელიც სამსახიობო/კინოს, თეატრის, პანტომიმის / ხელოვნებას აუფლებდა ახალგაზრდებს და მას თეატრალური ინსტიტუტი ერქვა და ა. შ., მაგრამ საქართველოში, ცეკვის ქვეყანაში, არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც

უმაღლეს დონეზე შეასწავლიდა ახალგაზრდებს ცეკვის ხელოვნებას.

ქალბატონი ლილი გვარამაძის, ბატონების: ალექსი ალექსიძის, ავთანდილ თათარაძის, კონსტანტინე მანჯგალაძის, დავით ჯავრიშვილის, გიორგი სალუქვაძის, ბესიკ სვანაძის, რეზო ჭანიშვილისა და უჩა დვალიშვილის ნაშრომებმა ქორეოგრაფიაში, მათმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაუდეს სათავე იმ იდეას, რომ ქართული ქორეოგრაფია უმაღლესი სასწავლებლის დონეზე უნდა შესწავლილიყო. გარდა ზემოდასახელებული ადამიანებისა, უმაღლესი ქორეოგრაფიული განათლების საკითხით დაინტერესებულები იყვნენ ამ დარგის სხვა პრაქტიკოსი სპეციალისტებიც: ჯანო ბაგრატიონი, მიხეილ შუბაშუკელი, მიხეილ რაქვიაშვილი, მიხეილ ბახტაძე, ზაურ ასათიანი და სხვები. ამ საკითხებზე ისინი მსჯელობდნენ ქორეოგრაფიულ-მუსიკალური საზოგადოების მიერ ჩატარებულ კონფერენციებსა და თათბირებზე.

ქართული ქორეოგრაფიის უმაღლეს სასწავლებელში სწავლების საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა 80-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1988 წელს, როცა ამ საკითხს სპეციალური ტელეგადაცემა მიეძღვნა „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის პრობლემები“. საკითხის ირგვლივ ღრმად ისაუბრა ქორეოლოგმა ავთანდილ თათარაძემ, რომელმაც თავისი საუბრის დასასრულს სთხოვა საქართველოს მთავრობასა და ხელისუფლებას, რომ საქართველოში თეატრალური ინსტიტუტის ბაზაზე გახსნილიყო ქორეოგრაფიული განყოფილება. უნდა ითქვას, რომ ამ ჩანაფიქრის მიხედვით, სერიოზული მუშაობაც დაიწყო

და თითქოს ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ გახსნილიყო ეს განყოფილება, მაგრამ ქვეყნის შიგნით შექმნილმა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, პოზიცია-ოპოზიციის რადიკალურმა დაპირისპირებამ, რაც შემდგომში სამოქალაქო ომში გადაიზარდა, საქმე სრულ ჩაშლამდე მიიყვანა.

ამის მიუხედავად საკითხისადმი ინტერესი არ განელებულა. ქორეოგრაფიის უმაღლესში სწავლების საკითხს არაერთი პუბლიკაცია თუ ტელეგადაცემა მიეძღვნა. თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ბატონი ავთანდილ თათარაძე ამბობს: „სად მიიღოს ახალგაზრდამ შედარებით ამომწურავი განათლება ამ სპეციალობაში, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში, ვიღაცის თუ რაღაცის გამო, დღემდე არ არსებობს უმაღლესი ტიპის სასწავლებელი ქორეოგრაფიული სპეციალობით, არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდამ, მოწყურებულმა უმაღლეს განათლებას ამ დარგში, მიიღოს მისთვის სასურველი უმაღლესი განათლება. ეს კი მოხერხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირში შემავალი მრავალი ქალაქის მსგავსად, თბილისშიც გაიხსნებოდა კულტურის ინსტიტუტი, რომელშიც, როგორც წესი, გათვალისწინებული იქნებოდა ქორეოგრაფიული განყოფილებაც. ვიმე-დოვნებთ, რომ ახლო მომავალში ქორეოგრაფიის და, კერძოდ, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დონეზე სწავლების საკითხი ჩვენშიაც დადებითად გადაწყდება. შესაბამისად, კულტურის ინსტიტუტის კედლებში ადგილი დაეთმობა ქორეოგრაფთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს და

ქორეოგრაფიაც, როგორც ცეკვის ხელოვნების მეცნიერება მიჩნეული იქნება მეცნიერების კანონზომიერ წევრად“[1]

კულტურის ინსტიტუტის შექმნისათვის იღვწოდა ცნობილი ქორეოგრაფი და მეცნიერი ლილი გვარამაძე. ამ საკითხს შეეხო იგი, მაგალითად, 1989 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება“N 6-ში დაბეჭდილ წერილში „ისევ ქართულ ქორეოგრაფიაზე“. ამ წერილში იგი წერდა: ჩვენ გარდა, თითქმის ყველა რესპუბლიკაში არსებობს კულტურის ინსტიტუტი ან რომელიმე ინსტიტუტთან ქორეოგრაფიული განყოფილება. დარწმუნებული ვარ,ამაზე არა ერთი ქორეოგრაფი ოცნებობს“.

ქართველ ქორეოგრაფთა დიდი ხნის ოცნებას ფრთები შეასხა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა თემურ ჟღენტმა. ბატონი თემური ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მას საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია ჰქონდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა /ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის/ სასახლის დირექტორად, განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსად, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორად, ბოლო პერიოდში კი სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორად.

კულტურისა და ხელოვნების სფეროში მრავალ-წლიანმა მუშობამ, კულტურისა და ხელოვნებისადმი

1. ამონარიდი აღებულია რუსუდან ფაილოძის წიგნიდან „ქორეოგრაფიული ხელოვნების სიყვარულში დაფერფლილი ხელოვანი ავთანილ თათარაძე, თბ., 2005, გვ 202.

მისმა გამორჩეულმა სიყვარულმა მას ბევრი მეგობარი და თანამზ-რახველი შესძინა. ამ იდეის განხორციელებაში მას გვერდით ედგნენ ბატონები: ანზორ ერქომაიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი,გომარ სიხარულიძე, ლევან სანიკიძე, რეზი თვარაძე, რევაზ ბარამიძე, ზინა კვერენჩხილაძე,თემო გოცაძე, თემურ თურმანიძე, გოგი ქავთარაძე, გოგი ხარაბაძე, ბიძინა კვერნაძე, კუკური ჭოხონელიძე და სხვები. და რაღა თქმა უნდა, ქართული ქორეოგრაფიის ნამდვილი დიდოსტატები: თენგიზ სუხიშვილი, რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, რომელთა დიდი ხნის ოცნებას ესხმებოდა ფრთები - იქმნებოდა ქორეოგრაფიის შემსწავლელი უმაღლესი სასწავლებელი.

იდეას მხარს უჭერდა კულტურის მაშინდელი მინისტრი, კულტურისა და ხელოვნების ნამდვილი ქომაგი, თვალსაჩინო პოეტი დავით მაღრაძე.

ზემოჩამოთვლილ ადამიანთა დიდი მცდელობით 1991 წელს შეიქმნა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, შეიქმნა იმ დროს, როცა საქართველოში უმძიმესი ვითარება იყო და როცა ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ბატონ თემურ ჟღენტის დიდმა შემართებამ და უმტკიცესმა ნებისყოფამ შეუძლებელი შეძლო. მალე მან საუკეთესო პროფესურას მოუყარა თავი და ინსტიტუტმა მუშაობა იმ დროს დაიწყო, როდესაც სასწავლებლის შენობას სახურავი არ ჰქონდა და წვიმა სალექციო აუდიტორიებშიც კი ჩამოდიოდა.

მთელი ათი წელი არსებობდა ეს ინსტიტუტი კულტურის ინსტიტუტის სახელით და მხოლოდ საქართველოს

პრეზიდენტის 2002 წლის 25 ივლისის ბრძანებულებით ეწოდა მას „კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ხოლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიენიჭა უდიდესი ქართველი მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის სახელი.

ასე რომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ბატონი რეზო ჭანიშვილი კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის სათავეებთან იდგა და ერთ-ერთი ის ადამიანია, რომელმაც ამ უნივერსიტეტის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

სამწუხაროდ, ეს არაჩვეულებრივი უნივერსიტეტი, უძლიერესი პროფესურითა და ერთ ოჯახად შეკრული კოლექტივით, მისი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან ინტეგრაციის საბაბით, ფაქტიურად გააუქმა სააკაშვილის ანტიქართულმა და ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ, თუმცა ეს მრავალი წლის შემდეგ მოხდა.

რეზო ჭანიშვილის წვლილი ქორეოლოგიის როგორც ახალი სამეცნიერო დისციპლინის შექმნაში

მას შემდეგ,რაც ქორეოგრაფთა დიდი ხნის ოცნებას ფრთები შეესხადა შეიქმნა ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც ქორეოგრაფია შეისწავლებოდა მეცნიერულ დონეზე, ბუნებრივია, ამ დარგში სერიოზული საკვლევ-სამეცნიერო მუშაობა გაჩაღდა. კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ფოლკლორის კვლევის ცენტრი, რომელსაც ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი ხელმძღვანელობდა, მისი

მოადგილეები კი იყვნენ ევსევი /კუკური/ ჭოხონელიძე და ბატონი რეზო ჭანიშვილი. თავისთავად ცხადია, გაგრძელდა ფიქრი იმაზე, რომ, ქორეოგრაფიის გარდა, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი ფუნქცია და დანიშნულება გააჩნდა, შექმნილიყო მეცნიერება ცეკვის, მისი არსის, მისი ბუნების, მისი კანონზომიერების შესახებ და სხვა მეცნიერებათა ანალოგიით /ბიოლოგია, ფიზიოლოგია,ზოოლოგია, ფსიქოლოგია, გეოლოგია, ეკოლოგია და ა.შ./ მას ქორეოლოგია დარქმეოდა, ანუ სიტყვასიტყვით, მეცნიერება ცეკვის შესახებ.

როგორც უკვე ითქვა, ამგვარი მეცნიერების შექმნის იდეა ჯერ კიდევ წინა თაობის ცნობილ ქორეოგრაფებს პროფესორს ლილი გვარამაძეს, ავთანდილ თათარაძეს და მომდევნო თაობის წარმომადგენლებს ჰქონდათ, მაგრამ გაცილებით მეტი ინტენსივობით ამ საკითხზე ფიქრი და წერა, თავისთავად ცხადია, მას შემდეგ დაიწყო, რაც კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა. უნდა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ქორეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის შექმნას, დიდი ამაგი დასდო ბატონმა რეზო ჭანიშვილმა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონები რეზო ჭანიშვილი, უჩა დვალიშვილი და ოლეგ ალავიძე დიდი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ წინა თაობებისა და მათ მიერ გაკვალულ გზას,ქართული ცეკვის მეცნიერულ შესწავლას, დიდი წარმატებით აგრძელებენ საქართველოს კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილები, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორები, პროფესორი ანანო სამსონაძე, ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გელიაშვილი, და ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე /ალეკო/გელაშვილი.

სულ რამდენიმე სიტყვა ტერმინი „ქორეოლოგიის“ გაჩენის ისტორიიდან. ეს ტერმინი XX საუკუნის 50-იან წლებში, კერძოდ, 1956 წელს, პირველად იხმარეს ამერიკელმა ცოლ-ქმარმა რ. და ჯ. ბენეშებმა და მასში ცეკვის /მოძრაობის/ აღწერა იგულისხმეს. მათი ინიციატივით, ინგლისში სპეციალური ქორეოლოგიური ინსტიტუტიც კი შეიქმნა, სადაც ცეკვის ჩაწერის სპეციალისტებს ამზადებდნენ.

ბენეშებს მიაჩნდათ, რომ ქორეოლოგია არის მეცნიერება მოძრაობის ყველა ფორმის შესახებ, ან სხვანაირად ის არის მეცნიერება, რომელიც ვიზუალურ შთაბეჭდილებას ვერბალურად, ანუ სიტყვიერად გამოხატავს.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ქართველ ქორეოგრაფებსაც აქვთ სერიოზული მუშაობა გაწეული. მხედველობაში გვყავს ცნობილი ქორეოგრაფები: ალექსი ალექსიძე, დავით ჯავრიშვილი, ავთანდილ თათარაძე, გიორგი სალუქვაძე, რომელთაც მოცემული აქვთ მრავალი ქართული ცეკვის აღწერა ისე, როგორც ამას რუსი, ფრანგი, იტალიელი და ამერიკელი ქორეოლოგები აკეთებენ / სანიმუშოდ იხ. პროფ. რეზო ჭანიშვილისა და პროფ. ოლეგ ალავიძის წიგნი „გიორგი სალუქვაძე - 100“/.

მაგრამ ქართული ქორეოლოგია,ჩვენი აზრით, მაინც სხვა /სწორი/ მიმართუ- ლებით წავიდა. იგი ჩამოყალიბდა როგორც თეორიული მეცნიერება ცეკვის არსზე, მის

ბუნებაზე, მის კანონზომიერებებზე, ჩამოყალიბდა როგორც კულტუროლოგიური დისციპლინა

საინტერესო ძიებები ამ მიმართულებით პროფ. რეზო ჭანიშვილს ეკუთვნის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი თეორიული სტატიები „ქართული ქორეოგრაფია დღეს“, „ხორუმის“ ლოკალიზაციის საკითხისათვის“, „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარების ზოგიერთი საკითხი“ და მრავალი სხვა, წმინდა ქორეოლოგიური გამოკვლევებია, სადაც ცეკვა განხილულია როგორც კულტუროლოგიური ტექსტი და ნაცადია გაგების მეთოდის გამოყენებით ამ ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზი, მასში ჩადებული საზრისისა და საზრისიანი კავშირების დადგენა.

მავანმა შეიძლება თქვას: ასეთი თეორიული მუშაობა ქორეოგრაფიაში ადრეც ხომ მიდიოდაო?! დიახ, მიდიოდა, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიდიოდა გუმანით, შინაგანი ინტუიციითა და ალღოთი.

მეცნიერებაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მიდის გარკვეული მიმართულებით გარკვეული მუშაობა. იწერება მშვენიერი ნაშრომები, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გაცნობიერებული - რა სახის მუშაობა მიდის, ან რითი დასრულდება იგი. დასრულდება თუ არა იგი ახალი მეცნიერების შექმნით და , თუ დასრულდება, რა დაერქმევა ამ მეცნიერებას. ასე მაგალითად, როცა სოკრატემ წამოაყენა დებულება: „შეიცან თავი შენი“, მაშინ მან, ცხადია, არ იცოდა, რომ სათავე დაუდო ახალ ფილოსოფიურ დისციპლინას „ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას“, რომელიც ოფიციალურად 24 საუკუნის

შემდეგ (კერძოდ XX საუკუნის 20-იან წლებში) ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერებად მაქს შელერის მიერ / სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა მისი წიგნი ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში „ადამიანის ადგილი კოსმოსში / საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუმც შელერმა ნამდვილად შექმნა ახალი მეცნიერება -ფილოსოფიური მეცნიერება ადამიანის შესახებ, თუმცა ტერმინი „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ მასში საერთოდ არაა ნახსენები. ასევე, არისტოტელე რომ წერდა თავის „პოეტიკას“, ცხადია, არც მან იცოდა, რომ წერდა ნაშრომს მეცნიერებაში, რომელსაც 1750 წელს ბაუმგარენტი „ესთეტიკას “ დაარქმევდა, ან იგივე არისტოტელე, როცა „პოლიტიკას“ წერდა, ცხადია, არ ვარაუდობდა, რომ ქმნიდა ნაშრომს „პოლიტოლოგიაში“. ახლა არც ესთეტიკა მოიაზრება არისტოტელეს „პოეტიკის“ გარეშე და არც პოლიტოლოგია მისივე „პოლიტიკის“ გარეშე. ასეთი მაგალითის ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში ხომ უამრავი მეცნიერება იყო ჩასახული და გაერთიანებული “ფილოსოფიის“ სახელწოდებით, ანუ ყოველ მათგანს ფილოსოფია ერქვა. გავიხსენოთ პლატონი, რომელიც ამბობდა: „ჩემს აკადემიაში არ მიიღებიან ისინი, რომელთაც არ ეცოდინებათ გეომეტრია, მუსიკა და სხვა ფილოსოფიებიო“.

ასეა ქორეოლოგიის შემთხვევაშიც. ყველა ის ნაშრომი, რომელიც ცეკვის თეორიის, მისი არსისა და ბუნების გარკვევას ეხება, არის ქორეოლოგიური ნაშრომი, ქორეოლოგიის მკვლევარმა, ან „ქორეოლოგიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორმა ყველა ასეთ ნაშრომს ერთად

უნდა მოუყაროს თავი როგორც „ქორეოლოგიამდელ ქორეოლოგიას.“ აქ მეცნიერებას ერთი გამოსავალი აქვს: ვლაპარაკობთ „ქორეოლოგიის“ ცნების ფართო და ვიწრო გაგებაზე. ფართო გაგებაში შედის ყველაფერი, რაც ცეკვას ეხება საზოგადოდ, ვიწროში კი ის, რაც „ქორეოლოგიის“, როგორც მეცნერების, შექმნის შემდეგ დაიწერა, მათ შორის, უპირველესად, ბატონი რეზო ჭანიშვილის და მისი მიმდევრების ნაშრომები იგულისხმება.

ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც ქორეოლოგიამ, როგორც იტყვიან „მიაგნო თავის საკვლევ საგანს“, ის დასცილდა ქორეოგრაფიას. თუ ქორეოგრაფია ცეკვის ჩაწერა, ქორეოლოგია ცეკვის თეორიაა. ასე გამოეყვნენ ერთიმეორეს „ქორეოგრაფია“ და „ქორეოლოგია“ ქართულ სინამდვილეში - პირველი ემპირიული მეცნიერებაა და ცეკვის აღწერას გულისხმობს, მეორე კი - კულტუროლოგიური / თეორიული/ მეცნიერებაა და ცეკვის, როგორც ტექსტის, საზრისისა და საზრისიანი კავშირების გაგებას გულისხმობს /ამაზე ქვემოთაც გვექნება მსჯელობა/. ამერიკაში კი, სადაც ქორეოლოგიის ძირითად ფუნქციად ცეკვითი მოძრაობების აღწერას მიიჩნევენ, ქორეოგრაფია და ქორეოლოგია დღესაც არცთუ იშვიათად იდენტურ ცნებებად განიხილება. ყოველშემთხვევაში, ამ დარგის მეცნიერები ადვილად უნაცვლებენ ამ ცნებებს ადგილებს.

თანამედროვე ქართული ქორეოლოგიის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი ცეკვას განიხილავს კულტუროლოგიურ ჭრილში, ან სხვანაირად განიხილავს როგორც „ტექსტს“. ტექსტი კი ისაა,რასაც დღეს მხატვრობისათვის ნახატი, პოეზიისათვის-სიტყვა, მუსიკისა-

თვის-სიმღერა და ა.შ. წარმოადგენს.

ყოველ ტექსტს გაშიფვრა, ამოკითხვა, გაგება უნდა. ცხადია, ტექსტი მარტო ის არაა, რასაც თვალი ხედავს, ან ყურს ესმის. ასე რომ იყოს, ყველა, ვინც ნახატს აღიქვამს, ხელოვნებათმცოდნე იქნებოდა, ვინც სიმღერას ისმენს-მუსიკათმცოდნე, ვინც ლექსს კითხულობს - ლიტერატურის კრიტიკოსი, ვინც ცეკვას უცქერს ან ქორეოგრაფი, ან ქორეოლოგი და ა.შ

ტექსტის გაშიფვრა, ამოკითხვა, გაგება ნიშნავს იმ საზრისის (აზრის) ამოკითხვას, რაც ამ ტექსტში დევს და რაც თვალით არ დაინახება ან ყურით არ მოისმინება. ის ცეკვის შემთხვევაში გულისხმობს ცეკვიდან (ცეკვის ტექსტიდან) ქართული ყოფის, ქართული ნების, ზნის, ხასიათის, ბუნების, ტემპერამენტის, მსოფლმხეველობას, ღირებულებათა ორიენტაციის ამოკითხვას.

ასე უნდა იქნას (ცხადია, იდეალური შემთხვევაში) ყველა ქართული ცეკვა შესწავლილი. ცხადია, ისიც უნდა იქნას დადგენილი-რა მსგავსება-განსხვავება ახასიათებთ მათ სხვა ქვეყნის, პირველ რიგში კი, კავკასიურ ცეკვებთან /მარტო გარეგნული მოძრაობებით ან სამოსით მსგავსება-განსხვავების დადგენა, ცხადია, არასერიოზული იქნებოდა /ამაზე მსჯელობას „ქორეოგრაფიული დიალექტების“ განხილვის დროსაც გავაგრძელებთ/.

ამიტომ ვამბობთ, რომ ქორეოლოგია ახალი, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მეცნიერებაა. თუმცა დღეს უკვე არსებობენ პირველი ქორეოლოგები, პირველი ქორეოლოგიური კვლევები, რაც იმის გარანტიას იძლევა,

რომ ხვალ და ზეგ ეს დარგი კიდევ უფრო წინ წავა და კულტუროლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ სერიოზულ დარგად იქცევა.

რეზო ჭანიშვილი – „ქორეოგრაფიული დიალექტებ-ბის“ ცნების ერთ-ერთი პირველშემომტანი და პირველდამფუძნებელი ქორეოგრაფიასა და ქორეოლოგიაში

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მეცნიერული შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ე.წ. „ქორეოგრაფიული დიალექტების“ კვლევა. მნიშვნელოვანია იგი იმიტომ, რომ სწორედ ქორეოგრაფიული დიალექტების ერთობლიობაქმნის იმ უნიკალურ საგანძურს, რასაც, საბოლოო ჯამში, ქართული ხალხური ქორეოგრაფია ჰქვია. იგი იმიტომ არის უნიკალური, იმიტომ არის საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანი, რომ არის მრავალი ცალკეული დიალექტის თუ განშტოების ორგანული სინთეზი, რომელიც დღეს, როგორც გენიალური რუსთაველი იტყოდა, წარმოჩენილია „უთვალავი ფერით“,

ქრონოლოგიურად და ისტორიულად დიალექტების მეცნიერული კვლევა, როგორც მოსალოდნელიც იყო, იწყება ქართულენათმეცნიერებაში მისი ისეთი დიდი მეცნიერების მიერ, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა. თავის წიგნში „ზოგადი ენათმეცნიერების საფუძვლები“ აკად. არნ. ჩიქობავა, მსჯელობს რა ქართული სალიტერატურო ნორმის მიმართებაზე მისსავე დიალექტებთან, ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური და პროფესიული დიალექტებიდან განსაკუთებულ ყურადღებას ამახვილებს ტერიტორიულ

და ეთნიკურ დიალექტებზე. იგი წერს: „დღესდღეობით საუბრობენ ქართული ენის 16 დიალექტზე, რომელთა დაჯგუფება ძირითადად ხდება გეოგრაფიული პრინციპით“.

ქართველ ენათმეცნიერთა გამოცდილება გაიზიარეს მუსიკათმცოდნეებმა და დაიწყეს მსჯელობა მუსიკალურ დიალექტებზე. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა და მეცნიერ-მკვლევარმა დიმიტრი არაყიშვილმა გადადგა, რომელიც დიალექტებს კი არ უწოდებს მათ, არამედ „შტოს“, თუმცა საქმის ვითარებას ეს არსებითად არ ცვლის, ორივე ერთიდაიმავე შინაარსის მატარებელი, ანუ იდენტური ცნებები არიან.

როგორც მოსალოდნელი იყო, პროფ. დიმიტრი არაყიშვილს მიმდევრებიც გაუჩნდნენ და შესაბამისად, ქართული მუსიკალური დიალექტების მკვლევართა რიგებში ჩადგნენ გრიგოლ ჩხიკვაძე. გ. ჟორდანია, შ. ასლანიშვილი, ოთ. ჩიჯავაძე, აწ განსვენებული უნიჭიერესი მუსიკისმცოდნე ედიშერ გარაყანიძე, მანანა შილაკაძე და სხვები.

დიმიტრი არაყიშვილის მსგავსად, ედ. გარაყანიძეც დიალექტის ნაცვლად „განშტოებას“ ანიჭებდა უპირატესობას. იგი წერდა: „მუსიკალური დიალექტი ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის განშტოებაა. იგი გავრცელებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში და ხასიათდება სტილისტური თავისებურებების კომპლექსით“[2].

2. ე.გარაყანიძე, ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1990, გვ.7.

პროფ. მანანა შილაკაძე ქართული ხალხური მუსიკის ერთ-ერთ არსებით ნიშნად დიალექტთა სიმრავლეს, ანუ მრავალდიალექტიანობას მიიჩნევს. მისივე თქმით, ქართული მუსიკალური დიალექტების კლასიფიკაცია ემყარება მრავალხმიანობის ფორმების პრინციპს. ისე რომ, აღმოსავლური ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელია ბურდონული მრავალხმიანობა, დასავლურ-ქართულისათვის კი - კომპლექსური. მაგრამ ეს არ გამორიცხავს დასახელებულ რეგიონებში სხვა ფორმების არსებობასაც.

ქალბატონ მანანა შილაკაძე აუცილებლად მიაჩნია, რომ მუსიკალური დიალექტების კლასიფიკაციას საფუძვლად მუსიკალური პრინციპი უნდა დაედოს და არა - ფილოლოგიური. თუმცა აქვე იგი იმასაც ამბობს, რომ მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაციის სქემები ფაქტობრივად ემთხვევა ენობრივ დიალექტთა საკლასიფიკაციო სქემებს“.

ცნობილია, რომ, გარდა დიალექტებისა, ანუ კილოებისა, ენათმეცნიერები ლაპარაკობენ კილოკავებზეც, როგორც დიალექტზე უფრო მცირე ერთეულებზე. იმავე პოზიციაზე დგას ქალბატონი მანანა შილაკაძე, რომელიც ამბობს, რომ დიალექტზე უფრო მცირე ასეთიერთეული მუსიკაშიც უნდაარსებობდეს.

სწორედ მუსიკათმცოდნეების კვლევები დაედო საფუძვლად ბატონი რეზო ჭანიშვილის იდეას - ქართულ ქორეოგრაფიაში შემოეტანა „ქორეოგრაფიული დიალექტის“ ცნება და დაეწყო კიდეც ამ მიმართულებით

ინტენსიური მუშაობა.

თავის ორიგინალურ ნააზრევს ქართული ქორეოგრაფიული დიალექტების შესახებ პროფ. რეზო ჭანიშვილმა თავი მოუყარა ნაშრომში „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარების ზოგიერთი საკითხი“. სწორედ ამ ნაშრომზე დაყრდნობით, ქვემოთ მოკლედ გადმოვცემთ ბატონ რეზო ჭანიშვილის ორიგინალურ კონცეფციას ქართული ქორეოგრაფიული დიალექტების შესახებ.

რასაკვირველია, სწორია ბატონ რეზო ჭანიშვილის დებულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სრული სურათის წარმოდგენა მისი ცალკეული დიალექტებისა და მათი ურთიერთობის თავისებურებათა შესწავლის გარეშე. „მიგვაჩნია. წერს იგი, - რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება ... შედგება დიალექტებისაგან, როგორც, ვთქვათ, ხალხური სიმღერა /მუსიკა/. იგი სწორედ დიალექტების ერთობლიობაა“.[3]

პრინციპულად სვამს რა საკითხს ქორეოგრაფიული დიალექტების შესწავლის აუცილებლობის შესახებ, იქვე ბატონი რეზო სწორად მიანიშნებს იმ სიძნელეებზე, რაც ამ პრობლემის კვლევას ახლავს, ან შეიძლება ახლდეს. ესაა ცალკეული ქორეოგრაფიული დიალექტების დადგენა-კლასიფიკაცია, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ თეორიულ პრინციპებს, საყოველთაოდ მისაღებ დებულებებს უნდა ემყარებოდეს. სამწუხაროდ, ქართული საცეკვაო

3. რეზო ჭანიშვილი, წერილები ქორეოგრაფიაზე, წიგნი პირველი,თბ. 2002,გვ.31

ფოლკლორისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი პრინციპები შემუშავებული არ არის[4]. აქვე ბატონი რეზო აკრიტიკებს იმ მეთოდს, რომლითაც ქორეოგრაფები აქამდე ხელმძღვანელობდნენ და რომელსაც აღწერის მეთოდი ერქვა. უნდა ითქვას, რომ ეს იყო უაღესად მნიშვნელოვანი დებულება იმდენად, რამდენადაც, თუ აღწერის მეთოდი არ შეივსებოდა ახსნისა და გაგების მეთოდებით, ვერც დიალექტების კვლევა დაეფუძნებოდა სწორ მეთოდოლოგიურ საყრდენს და ვერც ქორეოლოგია განვითარდებოდა, როგორც ახალი ქორეოგრაფიული დისციპლინა. რატომ ანიჭებდა ბატონი რეზო აღწერის მეთოდიდან სხვა უფრო მეცნიერულ მეთოდზე გადასვლას ასე დიდ მნიშვნელობას? საქმე ისაა, რომ აღწერის მეთოდი პრინციპულად ვერ სცილდებოდა იმას, რაც დამკვირვებელს ცოცხალ განჭვრეტაში ეძლეოდა, ანუ იმას, რასაც თვალი ხედავდა და ყურს ესმოდა. ხოლო ის, რასაც თვალი ხედავს და ყურს ესმის, საკმარისი რომ ყოფილიყო, მაშინ ცეკვის შემსწავლელი მეცნიერების არსებობა აღარ გახდებოდა საჭირო საერთოდ. ამით არც ჩვენ და არც ბატონ რეზოს იმის თქმა კი არ გვინდა, რომ აღწერის მეთოდი ყალბი ან უარსაყოფი მეთოდია, არამედ იმისა, რომ იგი ღრმა მეცნიერული კვლევისათვის საკმარისი არაა. ღრმა მეცნიერული კვლევა კი გულისხმობდა ახსნისა და გაგების მეთოდების გამოყენებას. ცეკვის ფენომენის კულტუროლოგიურ-ჰერმენევტიკულ ანალიზს, იმ საზრისიანი კავშირების დადგენას, რომელიც ცეკვის შინაარსში დევს და რომელიც მას უკვდავყოფას ანიჭებს. აი, საითკენ მიჰყავდა მსჯელობა ბატონ რეზოს, მაგრამ

4. რეზო ჭანიშვილი, იქვე, გვ. 32

როგორც ჭეშმარიტ მკვლევარს შეჰფერის, იგი არ ჩქარობს დასკვნების გამოტანას. ის კი არა, იმასაც კი ამბობს, ამჯერად აღნიშნულ საკითხებს ვერ ჩავუღრმავდებით და მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებითო. ცხადია, ეს მხოლოდ ჭანიშვილისეული თავმდაბლობაა, თორემ, ჩვენი აზრით, სათქმელი უკვე ითქვა, მომავალი მუშაობის სწორი გზა და ორიენტირი ზუსტად მოიხაზა.

მსჯელობს რა ქორეოგრაფიული დიალექტების კლასიფიკაციზე, ბატონი რეზო ჭანიშვილი, პირველ რიგში, ამოდის ემპირიული მოცემულობიდან და იხსენებს ტერმინებს: „სვანური ფერხული“, „აჭარული ცეკვები“, „მეგრულიცეკვები“,„მთიულურიცეკვები“დასვამსსავსებით ლოგიკურ კითხვას: ამ გამოთქმებში მარტო ტერიტორიულ-რეგიონალურობაა ხაზგასმული, თუ ის სტილისტური თავისებურებები, შესრულების განსხვავებული მანერაცაა გათვალისწინებული, რაც ამ კუთხეებს ახასიათებს და, ცხადია, აკეთებს აბსოლუტურად სწორ და ზუსტ დასკვნას, რომ აქ განსხვავება ტერიტორიულ-რეგიონალურთან ერთად, ქორეოგრაფიულიცაა იმდენად, რამდენადაც მათში ჩანს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი განსხვავებულობები.

ქართული ქორეოგრაფიული დიალექტების „პირველადი“ შესწავლის შემდეგ ბატონი რეზო ჭანიშვილი გამოჰყოფს შემდეგ დიალექტებს: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური იმერული, გურული აჭარული, მეგრული, ლაზური და ასევე, ქალაქური ფოლკლორი, თუმცა საკითხი შემდგომ კვლევას და

არგუმენტირებას მოითხოვს.

დიალექტებიდან, რომელთაც ენათმეცნიერებაში კილოებს ეძახიან, ბატონი რეზო ჭანიშვილი /პროფ. მანანა შილაკაძის მსგავსად/ გადადის უფრო წვრილ დიალექტოლოგიურ ერთეულებზე, რომელთაც იმავე ენათმეცნიერებაში კილოკავებს ეძახიან. იგი წერს: „ვლაპარაკობთ „სვანურ ფერხულზე“, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ არსებობს „ზემო სვანეთი“ და “ქვემო სვანეთი“. შესაბამისად, ქორეოგრაფმა უნდა გაარკვიოს - რა მსგავსება-განსხვავებაა “ზემოსვანურ ფერხულსა“ და „ქვემოსვანურ ფერხულს“ შორის. პირველ რიგში, შესრულების მანერაში, სტილში, ტემპში, რიტმში, მოძრაობის სისწრაფეში და ა. შ. ყველაფერი ეს არა მარტო მათ აღწერას, არამედ სკრუპულოზურ შესწავლას და მეცნიერულ-კულტუროლოგიურ ანალიზს მოითხოვს. იგი აგრეთვე იმის გათვალისწინებასაც მოითხოვს, რომ: ერთ დროს „უძველესი საცეკვაო პანტომიმა და სიმღერა ერთ სინკრეტულ ძირზე იყო აღმოცენებული. ისინი საუკუნეების განმავლობაში ერთად მოდიოდნენ და ამდენად, მოჭარბებულ გავლენას განიცდიდნენ ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, მათ ხშირად საერთო ჰქონდათ მოძრაობისა და ჟღერადობის რიტმი, ბგერით-სიტყვიერი თანხლება, იდეურ-ესთეტიკური მიზან-ამოცანები და ა.შ.“. ამიტომ, როგორც მანანა შილაკაძეს მიაჩნია, რომ მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაციის სქემები ფაქტობრივად ემთხვევა ენობრივ დიალექტთა საკლასიფიკაციო სქემებს, ბატონ რეზო ჭანიშვილიც ასევე მიიჩნევს, რომ ქორეოგრაფიის დიალექტთა კლასიფიკაციის სქემები ფაქტობრივად

ემთხვევა ენობრივ დიალექტთა საკლასიფიკაციო სქემებს.

ასეთია ძალზე მოკლედ ქორეოგრაფიული დიალექტების შესახებ ბატონი რეზო ჭანიშვილის ორიგინალური კონცეფცია, რომელიც ჯერ ისევ შემდგომი შესწავლისა და სრულყოფის პროცესშია. ამ საქმეში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაერთნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ქორეოლოგები, რაც იძლევა იმის იმედს, რომ ბატონი რეზოს მიერ დაყენებული პრობლემა მომავალში კიდევ უფრო ღრმად დამუშავდება.

რეზო ჭანიშვილი – თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

იმ დროს, როცა კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტენსიური მუშაობა მიდიოდა კულტურისა და ხელოვნების სულ სხვადასხვა სფეროში, იმ დროს, როცა ეს ახლადშექმნილი უნივერსიტეტი საოცარ წარმატებებს აღწევდა და დიდ ავტორიტეტსაც იხვეჭდა, მის წინააღმდეგ წამოიშალნენ ქართული ეროვნული ცნობიერების მტრები თავად სააკაშვილის მეთაურობით და, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან ინტეგრაციის საბაბით, ფაქტიურად გააუქმეს ეს მშვენიერი უნივერსიტეტი და მისგან მხოლოდ ქორეოგრაფიის განყოფილება შეინარჩუნეს.

ბუნებრივია, ბატონმა რეზომ /ისევე როგორც ბატონმა უჩა დვალიშვილმა/ კვლავ გააგრძელეს აქ მუშაობა, ოღონდ, ამჯერად, ცხადია, როგორც თეატრისა და

კინოს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თვალნათლივ დარწმუნდა, თურა ძლიერი პროფესიონალები იყვნენ და რა თავდადებითა და ენერგიით იღვწოდნენ ისინი თავიანთი პროფესიის პრესტიჟის ასამაღლებლადდა ამიტომაც 2007 წელს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ორივე ეს ღირსეული ადამიანი სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნა.

ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების სრული ტექსტი, სადაც წერია: დაინიშნოს საქართველოს ხელოვნების სფეროს გამოჩენილი ორგანიზატორი, მრავალი ჯილდოს, პრემიის, მედალის, ორდენის მფლობელი, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე /მაშინ ბატონი რეზო თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო/, საერთაშორისო პრემიის „ოქროს მარჯვენის“ ლაურეატი, ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის და ნორვეგიის ქალაქ ჰამერფესტის საპატიო მოქალაქე ბატონი რეზო ჭანიშვილი ქორეოგრაფიის მიმართულების სრულ პროფესორად.

სხვათაშორის, იმავე ბრძანებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასევე მრავალი საერთაშორისო პრემიებისა და კონკურსების ლაურეატი, ბატონი რეზოს უახლოესი მეგობარი უჩა დვალიშვილი.

ბატონების რეზო ჭანიშვილისა და უჩა დვალიშვილის სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნას სათაურით „მილოცვა“ საგანგებო წერილი მიუძღვნა ჟურნალ „კამერტონის“ სარედაქციო კოლეგიამ.

რეზო ჭანიშვილი – საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე

2011 წლის ნოემბერში ბატონი რეზო ჭანიშვილი საქართველოს ქორეოგრაფთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. აღნიშულ კავშირს წინა თავმჯდომარეებიც ღირსეული ადამიანები ჰყავდა / ბატონები: თენგიზ სუხიშვილი და თენგიზ უთმელიძე/, რომლებიც ყურადღებას არ აკლებდნენ კავშირის საქმიანობას, ზრუნავდნენ ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაზე, რეგიონებში მუშაობის გააქტიურებაზე, ახალი ანსამბლების შექმნაზე, რაიონული და რესპუბლიკური ფესტივალების ჩატარებაზე, ბავშვთა ანსამბლების დაარსებაზე, მაგრამ ახალი თავმჯდომარის არჩევით მაინც ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საქმიანობაში. გადახალისდა გამგეობის შემადგენლობა, სამეცნიერო მუშაობის გაძლიერებისა და გააქტიურების მიზნით შეიქმნა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის შტატი სამეცნიერო დარგში და ამ თანამდებობაზე დაინიშნა ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ოლეგ ალავიძე.

ძნელია ყველა იმ სასახელო საქმეების ჩამო-

თვლა, რაც ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელობით განხორციელდა 2011 წლიდან დღემდე, ანუ იმ დროში, რასაც მოიცავს ბატონი რეზო ჭანიშვილის თავმჯდომარეობის პერიოდი.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით. ეს არის:

1. დაწესდა სახელობითი პრემიები /ჯანო ბაგრატიონის, გიორგი სალუქვაძის, ბუხუტი დარახველიძის, დავით უშვერიძის/.
2. დაწესდა წლის საუკეთესო ქორეოგრაფისა და წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფის პრემიები
3. დაწესდა „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის“ და „საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის“, „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების“ ორდენები.
4. შემოღებული იქნა წოდება „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი“
5. 2012 წლიდან ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის წარდგინებით ხუთმა ქორეოგრაფმა მიიღო ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო „ღირსების ორდენი“.
6. 11 ივნისს აღინიშნება „ქართული ქორეოგრაფიის დღე“
7. სისტემატურად იმართება ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალები
8. ყოველწლიურად ჯილდოვდება სანიმუშო საბაშვო,

მოზარდთა და ახალგაზრდული ანსამბლები

9. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ბავშვთა და ახალგაზრდების საერთაშორისო ფესტივალი / 2015 წელს ჩატარებულ ფესტივალში 9 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა

10. ჩატარდა სომხური ქორეოგრაფიის დღეები საქართველოში

11. სისტემატურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები

12. ჩატარდა თვალსაჩინო მოცეკვავეების იამზე დოლაბერიძის, თენგიზ უთმელიძის საიუბილეო საღამოები

13. გაიხსნა განუმეორებელი მოცეკვავის ლატავრა ფოჩიანის მემორიალური დაფა

14. შეიქმნა ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო ფონდი

15. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მეზობელ სომხეთთან

16. ჩატარდა თოფუზ გაბაიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალი „ზეიმი მთიან აჭარაში“.

17. საქართველოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ინსტიტუტთან ერთად შეიქმნა ქორეოგრაფ-რეპეტიტორთა მომზადებისა და გადამზადების ერთწლიანი კურსები.

18. 2013 წლიდან საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გახდა იუნესკოს საერთასორისო ცეკვის საბჭოს წევრი

19. გაფორმებულია მემორანდუმი: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან და ქ. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან

20. გამოჩენილ ქართველ ქორეოგრაფთაა საცხოვ-რებელ სახლებზე გაიკრა მემორიალური დაფები

21. საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა საპატ-რიაროსთან არსებულ ახალგაზრდულ-კულტურულ ცენტრთან, სადაც ინტენსიურად იმართება გამოჩენილი ქორეოგრაფების, მოცეკვავეების, ქორეოლოგების შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები.

22. გაიმართა ჯანო ბაგრატიონის, ბუხუტი დარა-ხველიძის, ლატავრა ფოჩიანის, თამაზ ბეჟანიძის ხსოვნის საღამოები

23. სისტემატურად გამოდის საქართველოს ქორე-ოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“.

24. კავშირი სისტემატურ დახმარებას უწევდა და უწევს სიღარიბის ზღვარზე მყოფ ქორეოგრაფებს, მოცეკვავეებს, მუსიკოსებს და მრავალი სხვა.

პროფესორ რეზო ჭანიშვილის წიგნები:

გარდა ათეულობით პუბლიცისტური და სამეცნიერო სტატიისა, პროფ. რეზო ჭანიშვილს გამოცემული აქვს სპეციალური წიგნები, მიძღვნილი ქართული ქორეოგრაფიის თეორიული საკითხებისადმი. ამ პატარა ბუკლეტში ჩვენ არ გვექნება საშუალება მოვახდინოთ მათი მეცნიერული შეფასება-ანალიზი. ამიტომ აქ მხოლოდ მათი ძირითადი დებულებების გადმოცემით დავკმაყოფილდებით.

1. ფიქრები ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაზე, თბ. 1997. წიგნი ორი ნაწილისაგანშედგება; პირველ ნაწილში მოკლედაა გადმოცემული ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვლილი გზა, ხოლო მეორე ნაწილი ეძღვნება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების როლსა და მნიშვნელობას ახალ-გაზრდობის აღზრდის საქმეში.

2. ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში, თბ. 2000 წიგნი არსებითად მეთოდოლოგიური ხასიათისაა და მასში თავმოყრილია ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან დ. ჯავრიშვილის, ავთ. თათარაძის, ბ. სვანიძის, უ. დვალიშვილის, ზ.ლაზიშვილისა და თავად ავტორის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და ცალკეული მეთოდური მითითებები.

3. წერილები ქორეოგრაფიაზე /წიგნი პირველი/ თბ. 2002. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი იწყება ავტობიოგრაფიული მონაცემებით და გადადის ისეთი თეორიული საკითხის განხილვაზე, როგორიცაა: ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარება.

აქვე განხილულია გურული და რაჭული საცეკვაო ფოლკლორის ზოგიერთი თავისებურება, დახასიათებულია ცეკვები: „ხორუმი“ და „ქართული“. მეორე ნაწილი ეძღვნება მის ჩანახატებს ისეთ ცნობილ ქორეოგრაფებზე, როგორებიც არიან: გივი ჩიხლაძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, ბუხუტი დარახველიძე, ილიკო სუხიშვილი, ბესიკ სვანიძე, უჩა დვალიშვილი, ზაურ ლაზიშვილი, ნუნუ ღვინერია, ჯემალ რეხვიაშვილი, გოგი ჩაჩავა.

4. ქართული ცეკვის სადიდებელი /გამოჩენილი ადამიანები ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესახებ/. თბ. 2008 როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, წიგნში თავმოყრილია როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამოჩენილი ადამიანების თვალსაზრისები ქართულ ცეკვაზე, მის უნიკალურობასა და განუმეორებ-ლობაზე, მათი ზეაღმატებული შეფასებები. ასევე მსოფლიო პრესის გამოხმაურებები ქართული ანსამბლების ტრიუმფალური გასტროლების გამო. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, წიგნი იხსნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთევით და მისივე შესავალი წერილით.

5. როკვაში განფენილი სული ქართული /პროფ. ალ. დაუშვილთან თანაავტორობით/, თბ. 2010.ამ მცირე მოცულობის წიგნში მოკლედაა მიმოხილული ქართული ხალხური ცეკვის ისტორია, უძველესი დროიდან დღევანდლამდე, საუბარია მისი

მეცნიერული შესწავლის მდგომარეობაზე, მოკლედაა დახასიათებული ცალკეული ცეკვები.. ნაშრომი მთავრდება გამოჩენილი მწერლის გრიგოლ რობაქიძის ცნობილი წერილის „ქართული გენია როკვით განფენილი“ სრული ტექსტით.

6. მრავალმხრივი მოღვაწე, დიდებული მამულიშვილი - გიორგი სალუქვაძე -100/ პროფ. ოლეგ ალავიძესთან თანაავტორობით/, თბ. 2013. წიგნი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის, მკვლევარის, ინჟინერ-გამომგონებლისა და კონსტრუქტორის გიორგი სალუქვაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

წიგნის შინაარსს თავის შესავალ წერილში გვაცნობს მისი რედაქტორი ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების დოქტორი, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი, პროფესორი უჩა დვალიშვილი. იგი წერს: წიგნში „თანმიმდევრულადაა აღწერილი ამ უაღესად მრავალმხრივი პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის ბავშვობის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის წლები, ნაჩვენებია, თუ როგორი რუდუნებითა და მიზანსწრაფვით აკეთებდა ბატონი გიორგი ყველა იმ საქმეს, რომელიც დაკავშირებული იყო ქართული კულტურის აღმავლობისა თუ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებასთან.

დარწმუნებული ვართ, წიგნი დააინტერესებს ფართო მკითხველს, კიდევ ერთხელღრმად ჩაახედებს საზოგადოებას გიორგი სალუქვაძის შინაარსით დატვირთულ ბიოგრაფიაში. გვჯერა, რომ მონოგრაფია სამაგიდო წიგნად იქცევა ნებისმიერი ქართველი ქორეოგრაფისათვის, განსაკუთრებით კი დამწყებთათვის“.

წიგნში მოცემულია გიორგი სალუქვაძის მიერ 1950-1985 წლებში აღდგენილი ქართული ცეკვების ავტორისეული მოკლე ანოტაციური მიმოხილვა; გიორგი სალუქვაძის მიერ სხვადასხვა დროს დადგმული, აღდგენილი და შექმნილი ცეკვების ნუსხა, და, რაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარია გიორგი სალუქვაძის მიერ აღდგენილი და შექმნილი ცეკვების ფერხული „ფარცაკუკუს“, „კალმახობის“, „ფუნდრუკის“ აღწერილობა, გრაფიკული ნახაზები და სიმღერის ნოტები. ამათგან პირველი „ფერხული ფარცა კუკუს“ აღდგენას და დადგმას განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევდა დიდი ილიკო სუხიშვილი. იგი წერდა: „გიორგი სალუქვაძის მიერ დადგმული „ფერხული -ფარცაკუკუ“ უეჭველად შევა ახალ ფურცლად ქართულ ქორეოგრაფიაში“.

ზემოაღნიშნული ცეკვების აღწერილობასა და გრაფიკულ ნახაზებს ჩვენ იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ მიგვაჩნია: ეს ისაა, რასაც ამერიკელები „ქორეოლოგიას“ უწოდებენ. რაც შეეხება უახლოეს ქართულ ქორეოლოგიას, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, უფრო შორს და ღრმად მიდის და იძლევა ცეკვის /როგორც ტექსტის/ კულტუროლოგიურ-ჰერმენევტიკულ ანალიზს, ცდილობს ცეკვაში ჩადებული საზრისის გაგებას. საილუსტრაციოდ შეგვიძლია ავიღოთ პროფესორების რეზო ჭანიშვილისა და ალექსანდრე დაუშვილის წიგნიდან „როკვაში განფენილი სული ქართული“ ცეკვა „ქართულის“ ანალიზი, რომელიც ამ ცეკვის წმინდა ქორეოლოგიურ ანალიზს წარმოადგენს /იხ. დასახელებული წიგნის 25-28 გვერდები/.

7. ქართული ცეკვის სადიდებელი /გამოჩენილი ადამიანები ქართული ხალხური ქორეოგრაფიის

შესახებ/. მეორე შევსებული და გამდიდრებული გამოცემა.

8. ქართული ხალხური ქორეოგრაფია დასაბამიდან მსოფლიო აღიარებამდე. ეს არის ბატონი რეზო ჭანიშვილის დამაგვირგვინებელი ფუნდამენტური მონოგრაფია ქართული ხალხური ცეკვის შესახებ. წიგნი მზადაა გამოსაცემად.

- წიგნი, რომელიც ეძღვნება ბატონ რეზო ჭანიშვილს /გივი ბოსტოღანაშვილი „რეზო ჭანიშვილი“ , დოკუმენტური მოთხრობები/,თბ. 1997.

გივი ბოსტოღანაშვილმა პროზაიკოსმა, პუბლიცისტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა სპეციალური წიგნი მიუძღვნა ბატონ რეზო ჭანიშვილს, ამ წიგნში თავმოყრილია ცალკეული დოკუმენტური მოთხრობები, რომლებიც მიზნად ისახავენ დახატონ რეზო ჭანიშვილის როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისებები, მისი კეთილშობილება, სამართლიანობა, წესიერება, შრომისმოყვარეობა, საქმის ერთგულება, უღალატობა, კაცურკაცობა, სიტყვისა და საქმის განუყოფლობა, უანგარობა და ერთგულება, მეგობრისადმი თავდადება, სამშობლოს უზომო სიყვარული, ეროვნული სიამაყის გრძნობა, ზრუნვა ახალგაზრდობაზე, მათში უმაღლესი სულიერი ღირებულებების ჩანერგვაზე.

ამ წიგნს ახლავს ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, თვალსაჩინო მამულიშვილების წერილები ბატონ რეზო ჭანიშვილზე. ეს სასიქადულო ადამიანები არიან: თენგიზ

სუხიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ჭკუასელი, მერაბ ბერძენიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ომარ მხეიძე, მაყვალა გონაშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ვალერი ასათიანი, გომარ სიხარულიძე, ოტია იოსელიანი, რევაზ მიშველაძე, გოგი ქავთარაძე, გურანდა გაბუნია, ფრიდონ სულაბერიძე, იური ბიბილეიშვილი, ბესიკ სვანიძე, კონსტანტინე /კოწო/ მანჯგალაძე, ზაურ ლაზიშვილი ვალიკო ცაავა, თენგიზ მაისურაძე, ქეთი დოლიძე და სხვა.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ყველა ზემოდასახელებული ადამიანი ერის სასიქადულო შვილები, საამაყო ადამიანები არიან. მათი აზრი ისეთ დიდ ხელოვანზე როგორიც რეზო ჭანიშვილია უაღრესად საინტერესოა, მაგრამ

ჩვენ მათ განხილვას აქ არ შევუდგებით იმდენად, რამდენადაც მათი აზრი, მათი დამოკიდებულება ბატონი რეზო ჭანიშვილისადმი მთელ წიგნშია გაბნეული.

ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, სასიქადულო მამულიშვილები რეზო ჭანიშვილის შესახებ

როგორც უკვე ვთქვით, წიგნში „რეზო ჭანიშვილი“, გარდა თავისი დოკუმენტური მოთხრობისა, ამ დიდებულ ადამიანზე დაბეჭდილი აქვს ცნობილი ადამიანების წერილები. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს წვეთია ზღვაში. ბატონ რეზოსადმი უამრავი თბილი სიტყვა აქვთ გამოთქმული მის მეგობრებს. ქვემოთ მოვიტანთ ცალკეულ ამონარიდებს როგორც ამ წიგნიდან, ისე მისი მეგობრების

სპეციალური წერილებიდან, საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიებიდან.

ომარ მხეიძე: „რეზო ჭანიშვილს მაღალი მწვერვალებისაკენ მიჰყავს საკუთარი გემოვნებითა და ხელწერით შექმნილი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება“.

თენგიზ სუხიშვილი: „რეზო ჭანიშვილი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე თავდადებული და გამოჩენილი ხელოვანია“.

ანზორ ერქომაიშვილი: „იყო მაღალი რანგის შემოქმედი და ღირსეული მოქალაქე-მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და მე ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით მიწევს ცხოვრება და მოღვაწეობა“.

თემურ ჟღენტი: რეზო ჭანიშვილი საქმისადმი, პროფესიისადმი უდიდესი ერთგულებით გამორჩეული პიროვნებაა.

ვალერი ასათიანი: „ბატონი რეზო ჭანიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნები დიდი განძია როგორც ქორეოგრაფის სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის, ისე ხალხური შემოქმედების მოყვარულთა და გულშემატკივართათვის“.

რევაზ მიშველაძე: „რეზო ჭანიშვილის, როგორც ქორეოგრაფ-კომპოზიტორის, პოპულარობა საქართველოში ძალზე დიდია“.

ქეთი დოლიძე: „რეზო ჭანიშვილი - ქართული ცეკვის

რაინდია“.

გურანდა გაბუნია: „მე და ოთარი (ოთარ მეღვინეთუხუცესი) მისი თაყვანისმცემელი ვართ. მე ბედნიერი ვარ, რომ რეზოს ვიცნობ“.

ფრიდონ სულაბერიძე: „ქართული ქორეოგრაფიის დიდ ქომაგთა შორის რეზო ჭანიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია“

ზაურ ლაზიშვილი: „გამოთქმა „ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“- ხელოვნების მისაბაძი პატივგებისა და დიდი პოპულარობის გამოხატულებაა“.

ჯემალ ჭკუასელი: „რეზო ჭანიშვილი ცეკვა „ქართულის“ უბადლო შემსრულებელია“.

ბესიკ სვანიძე: „რეზო ჭანიშვილის წარმატებები ძალიან დიდია როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც“

იური ბიბილიეიშვილი, თემურ ბიბილეიშვილი: „რეზო ჭანიშვილი - როგორც შემოქმედი და მოღვაწე-სპეციალური შესწავლის თემაა“.

მაყვალა გონაშვილი: „რეზო ჭანიშვილი-ქართული ქორეოგრაფიის ლეგენდაა“

ოლეგ ალავიძე: „ბატონი რეზო მუხლჩაუხრელი ემსახურება იმ დიდ საფიცარს, რომელსაც ქართული საცეკვაო კულტურა ჰქვია“.

რევაზ ბალანჩივაძე: „ვფიქრობ, რომ ბატონი რეზო ჭანიშვილის ფენომენი, მისი მაღალი პროფესიონალიზმი, მხატვრული დიდოსტატობა და უნიკალური პიროვნული თვისებები საგანგებო შესწავლას მოითხოვს. რეზო ჭანიშვილმა ისეთი წვლილი შეიტანა მრავალსაუკუნოვანი ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში მყარად დამკვიდრდა ტერმინი „ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“.

რევაზ ბარამიძე: „რეზო ჭანიშვილის შრომების გაცნობისას გაოცებს მისი ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი ფანატიკური სიყვარული“.

ჯანსულ ჩარკვიანი: „როდესაც რეზოს დადგმებს ვუყურებ, დიდი სიამაყის გრძნობა მეუფლება, იგი თავდაუზოგავად ხნავს და თესავს ქართული ქორეოგრაფიის კიდევ უფრო გასამდიდრებლად“.

კონსტანტინე მანჯგალაძე: „რეზო ჭანიშვილი განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ინიჭით დაჯილდოებული ადამიანია. დიდია მისი წვლილი ჩემი პიროვნების წარმოჩენაში, რისთვისაც დიდი მადლობას მოვახსენებ“.

გოგი ქავთარაძე: „ჩემი აზრით, პასუხისმგებლობის გრძნობა რეზო ჭანიშვილის ყველაზე მთავარი თვისებაა. იგი ყველაფერს, რასაც ხელს მოჰკიდებს, მთელი ენერგიით აკეთებს“.

ვალიკო ცაავა: „ბატონი რეზო ჭანიშვილი თავისი თვითმყოფადობით, მანერითა და გულით, გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს. იგი თავის უაღრესად საინტერესო

შემოქმედებით საქმიანობას ოსტატურად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობასაც“.

თენგიზ მაისურაძე: „რეზო ჭანიშვილის მიერ შექმნილი და დადგმული ცეკვები გამოირჩევა კომპოზიციის ორიგინალობით, მაღალი მხატვრული დონით“.

ეკა გელიაშვილი: ბატონი რეზო ჭანიშვილი ის ადამიანია, რომელიც ქართული ქორეოლოგიის პრობლემით ცხოვრობს, ზრუნავს და თვალისჩინივით უფრთხილდება მას. სწორედ ასეთ ადამიანებზე ამბობენ: მათ ეროვნული საქმეების წინსვლისა და აღმავლობისთვის „გულის სისხლი გაიღოო“

ეპილოგი

ძნელია ამ პატარა ბუკლეტში ჩაატიო ყველა ის ღირსეული და საამაყო საქმეები, რაც ბატონ რეზო ჭანიშვილის სახელს უკავშირდება მისი მოღვაწეობის სულ სხვადასხვა სფეროში. ზოგ რამეზე შედარებით ვრცლად ითქვა ამ ბროშურაში, ზოგიც გაკვრით და მოკლედ. ამიტომ გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ბატონი რეზო ჭანიშვილის განვლილი ცხოვრების გზას და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, რეზიუმის სახით, კვლავ შევახსენოთ მკითხველს:

რეზო ჭანიშვილი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რუსთაველის სახელობის რეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ქორეოლოგიური დიალექ-ტების“ ცნების პირველდამდგენი და პირველშემომტანი კულტუროლოგიურ მეცნიერებაში, ახალი სამეცნიერო დისციპლინის „ქორეოლოგიის“ ერთ-ერთი შემქმნელი, რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი

მის დიდ ღვაწლზე ქართული ქორეოგრაფიის წინაშე მიუთითებს ქორეოგრაფიულ მეცნიერებაში მყარად დამკვიდრებული ტერმინი „ჭანიშვილისეული ქორეოგრაფია“.

ვფიქრობ, ზემონათქვამი იძლევა იმის სრულ გარანტიას და საკმაო საფუძველს, რომ ღვთიური მადლით ცხებული ეს ადამიანი სამარადჟამოდ ჩაეწეროს ქართული ხელოვნების ისტორიაში.